საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 2 (546) სამშაბათი, 5 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 3 იანვარს დილით მდინარე გუმისთაზე აქტიურ საომარ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

10 საათსა და 30 წუთზე სოფელ კუტიშხას ჩრდილოეთით შეამჩნიეს „ბოევიკებით" სავსე მანქანების და ტექნიკის გადაადგილება.

11 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სანაპიროდან 10 კილომეტრის სიღრმეში გამოჩნდა სამი სამხედრო გემი, რომლებმაც გუდაუთისკენ გასცურეს.

დაახლოებით 20 საათისათვის მოწინააღმდეგემ ქვემო ეშერაში განლაგებული სპორტბაზის და რუსეთის ბიოლოგიური ლაბორატორიის ტერიტორიებიდან საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს ჩვენს პოზიციებს. ჭურვები აფეთქდა ქ. სოხუმის ახალ რაიონში და შუქურას რაიონში. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ იყო.

დაახლოებით 22 საათსა და 15 წუთზე მოწინააღმდეგემ კვლავ ესროლა ჭურვები ქ. სოხუმს. ხუთი ჭურვი აფეთქდა ქ. სოხუმის ცენტრში, დაზიანდა ერთი სავაჭრო ობიექტი. წინასწარი მონაცემებით მსხვერპლი არ არის.

ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გახსნეს საპასუხო ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი და ჩააქრეს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები.

3 იანვარს გამთენიისას მოწინააღმდეგემ ოჩამჩირის რაიონში დაბა ტამიშთან განახორციელა ფართომასშტაბიანი შეტევა. ამ ოპერაციაში მონაწილეობდა მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა, ქართველი მეომრები იძულებული იყვნენ 200 მეტრით უკან დაეხიათ.

დაახლოებით 15 საათისათვის გვარდიის სწრაფი რეაგირების კორპუსის მეომრებმა განახორციელეს კონტრშეტევა, განდევნეს მომხდურნი და მნიშვნელოვნად წინ წაიწიეს. აფხაზურმა მხარემ განიცადა დიდი ზარალი. ეს დაადასტურა ქართველი შეკავშირების მიერ დაფიქსირებულმა საუბარმა: აფხაზები ითხოვდნენ ოც სატრანსპორტო ერთეულს დაჭრილ-დახოცილთა გადასაყვანად. სამწუხაროდ, არის მსხვერპლი ჩვენი მხრიდანაც — დაიღუპა ორი და დაიჭრა ექვსი მებრძოლი.

3 იანვარს, დაახლოებით 21 საათზე სოხუმის ზოგიერთ რაიონს მიაწოდეს ელექტროენერგია, უახლოეს დღეებში აღდგენილი იქნება ადგილობრივი ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებიც დიდთოვლობამ დააზიანა.

იოსებ გობეჩია.

●

„იბერიას" კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ დღეს, 4 იანვარს, დაახლოებით 12 საათზე, აფხაზთა მხარემ სოხუმი მასიურად დაბომბა „გრადის" ტიპის სარაკეტო დანადგარებიდან. ეს იყო ქალაქის ყველაზე ძლიერი დაბომბვა ომის დაწყების დღიდან. რაკეტები სკდებოდა ქალაქის ცენტრში და გარეუბნებში, მინისტრთა საბჭოს, ბაზრის, ქალაქის № 1 საავადმყოფოს ტერიტორიაზე. სამსახურებიდან და საცხოვრებელი ადგილებიდან ხდება ხალხის ევაკუაცია. არის მსხვერპლი და დაჭრილები, რომელთა რაოდენობა დგინდება.

ედუარდ შევარდნაძე: 1993 წელი ჩვენი ქვეყნისათვის

გადამწყვეტი წელიწადი იქნება უკეთესობის თვალსაზრისით

1993 წელი ჩვენი ქვეყნისათვის გადამწყვეტი წელიწადი უნდა იყოს უკეთესობის თვალსაზრისით, — კვლავ გაიმეორა აფხაზეთში გამართული შეხვედრების დროს ნათქვამი ფრაზა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციულ ინტერვიუში, რომელიც მან საქართველოს რადიოს კომენტატორს ნატო ონიანს მისცა 4 იანვარს და დასძინა, რომ მისი ეს ოპტიმიზმი პირველ რიგში აფხაზეთში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგია, — გამაოცა ოჩამჩირეში, გალში, განსაკუთრებით კი სოხუმში გამართულმა შეხვედრებმა, — თქვა მან, — უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ხალხი მზად არის, თავი დადოს სამშობლოსათვის და ეს კეთდება ყოველგვარი წუწუნის გარეშე, როცა მათ არც შიმშილი აკლიათ, არც სიცივე, არც ავადმყოფობა და არც უაღრესი გაჭირვებით გამოწვეული სხვა უმძიმესი შედეგები. სოხუმში ხელმძღვანელებთან და სამხედრო ნაწილებთან შეხვედრებისას ისეთი განწყობა ვიხილე რომ იგი პირდაპირ ამართლებს გამოთქმას: „დიდების ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ!" მთელს საქართველოში ათი პროცენტიც თუ არის ისეთი ხალხი, როგორსაც იქ შევხვდი, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — საკმარისია იმისათვის, რომ ვიამაყოთ და ვიწამოთ საქართველოს უკვდავება.

აფხაზეთში რთული ვითარებაა. ორი სერიოზული დაპირისპირებული ძალის არსებობა ახლა რეალურია. ამიტომ ყველაზე დიდი სირთული ის არის, რომ როგორმე მოვძებნოთ დიალოგის გზები. სიმართლე გითხრათ, ამაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ, რადგან, ვხედავ, დაპირისპირებამ დრამატული ხასიათი მიიღო. ამიტომ მინდა, ჩამოვაყალიბო ჩემი შეხედულებები ამ პრობლემასთან დაკავშირებით და მე მგონი, ამას მომავალში შევძლებ.

შეეხო რა აფხაზეთის ომთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, სახელმწიფოს მეთაურმა ერთგვარი საყვედური გამოთქვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართით. მე მგონია, — თქვა მან, — რომ ჩვენი პრესა, ტელევიზია ერთგვარად მოწყვეტილია ამ ამბებს, ჩვენ აქ საკმაოდ ბევრს ვლაპარაკობთ, სხვადასხვა ვარიანტებს ვამუშავებთ, მაღალ დონეზე აგვყავს ყველაფერი, მაგრამ იქაურ მოვლენებთან კონტაქტი არა გვაქვს. არადა, მთელი ქვეყანა ახლა იმ პრობლემებით უნდა ცხოვრობდეს, რომლებიც იქ არსებობს. ჩვენს თავისუფალ პრესას თუ გადახედავ, იქ, ფაქტობრივად, ვერაფერს ნახავ.

რადიოკომენტატორის შეკითხვაზე, იყო თუ არა მოსალოდნელი მისი სოხუმში ჩასვლა, თუკი 2 იანვარს იქ ელცინი და ბუში ერთმანეთს შეხვდებოდნენ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა თქვა: ჩვენში ახლა ბევრი გულუბრყვილო აზრი ვრცელდება და ერთ-ერთი ასეთი გულუბრყვილობა ეს აზრი იყო. ასეთი რამ არც ჩაფიქრებული ყოფილა და არც გეგმაში ჰქონია ვინმეს.

შემდეგ საუბარი შეეხო საქართველოს პრესაში სტუდენტთა ორგანიზაციების სახელით გამოქვეყნებულ მიმართვას აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით. მე გავეცანი ამ პუბლიკაციას, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — და მადლობა მინდა ვუთხრა ახალგაზრდებს იმისათვის, რომ გული შესტკივათ ამ პრობლემაზე. პუბლიკაციის შინაარსის, ფაქტების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, კი შეიძლება იყოს რაიმე სადავო, მაგრამ დასაგმობი იქ არაფერია, არც იმ ვარიანტების ხაზგასმა შეიძლება, რომლებსაც ისინი გვთავაზობენ. ამ პუბლიკაციამ დამარწმუნა, რომ ახალგაზრდებთან შეხვედრა საჭიროა და დღის წესრიგში დგას.

4 იანვრის რადიოინტერვიუ

ვიმეორებ, განვაგრძობ მუშაობას აფხაზეთის პრობლემებზე, ახლა ამ მუშაობამ სისტემატური ხასიათი მიიღო და დასაჩქარებელია, რადგან სტუდენტთა პუბლიკაციიდან ვიგრძენი, რომ ამ თემის ირგვლივ ჯერ კიდევ ერთგვარი შიშშილია ჩვენს საზოგადოებაში. ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება, თუ რაიმე ფორმით ჩვენთანაც და უცხოეთშიც გამოვაქვეყნებთ ჩემს მიერ საპარლამენტო განხილვისათვის გამოტანილ და შემდეგ შევსებულ ამ მასალებს.

მჯერა, მართალი ის იქნება, ვისი აზრიც საბოლოოდ გაიმარჯვებს და სიკეთეს მოიტანს. ჩვენ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. ახლა ეს არის მთავარი. უნდა ვიფიქროთ, აფხაზებზე, რომელთა გვერდითაც უნდა ვიცხოვროთ. თუმცა, ყოველგვარი ნორმის საზღვრებს სცილდება ის ფაქტები, როცა აფხაზთა მხრიდან იბომბება ქალაქი სოხუმი. ჩვენ ისეა დაგვრჩენია, რომ რეაგირება მოვახდინოთ.

რადიოკომენტატორმა სახელმწიფოს მეთაურს სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა საქართველოსა და რუსეთის თავდაცვის მინისტრების მოსკოვში გამართული შეხვედრისა და გაზეთ „იზვესტიაში" ბატონ კიტოვანის ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებებისათვის.

— მოსკოვში გამართული შეხვედრის შესახებ ბატონი თენგიზ კიტოვანი ძუნწი კომენტარებით შემოიფარგლა, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, — ამიტომ არც მე მინდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭო ამ ფაქტს. შეხვედრა ძირითადად იმით დამთავრდა, რომ ყველაფერი განხილულ იქნეს სამთავრობო დონეზე. მაგრამ ამ შეხვედრასაც აქვს თავისი მნიშვნელობა და დიალოგი რუსეთთან უნდა გაგრძელდეს.

რაც შეეხება ინტერვიუს, რომელიც თქვენ ახსენეთ, მე მგონი, ჩემი კომენტარი ზედმეტია. ვფიქრობ, მისი კომენტარი თვითონ მკითხველმა უნდა გააკეთოს ჩემი დასკვნების გარეშე. ჩემი მოვალეობაა არ ავყვე წამიერ განწყობილებებს, შევინარჩუნო სიმშვიდე და სიბრძნე, შეიძლება ეს ცოტა პრეტენზიულად იყოს ნათქვამი.

ინტერვიუს დასასრულს სახელმწიფოს მეთაური შეეხო თავის მომავალ მოსალოდნელ ვიზიტს ირანში და თქვა, რომ იგი ამ ვიზიტზე გარკვეულ იმედებს ამყარებს. — თქვენ იცით, აღნიშნა მან, — ჩვენი ისტორიული კავშირები ირანთან. ისინი მრავალმხრივ არის საინტერესო. ბევრი რამ გვაკავშირებდა ამ ქვეყანასთან, მათ შორის, მძიმე შედეგებითაც. ეს ვიზიტი ფაქტობრივად პირველი იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურის რანგში და ვფიქრობ, იგი შინაარსობრივადაც მდიდარი გამოდგება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებსაც სამართლებრივი ბაზა ექნებათ. ერთი სიტყვით, ხელს მოვაწერთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროში.

ჩვენ საუბარი გვექნება ირანის ხელმძღვანელებთან ამ რეგიონში, მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. იცით, პირველად არ ვხვდები მათ. მე მქონდა შეხვედრა პრეზიდენტ რაფსანჯანისთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელთანაც მეგობრობა მაკავშირებს, თავის დროზე შევხვედრივარ იმამ ხომეინის და მაშინ მე გახლდით ერთადერთი მოღვაწე, რომელიც მან შეხვდა ძალიან რთულ პერიოდში... ასე რომ, მე ირანში ჩასვლის უფლება მაქვს და იმედია, ეს ვიზიტი სასურველ შედეგს მოიტანს.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

ნომერში

◉ რა დონისა უნდა იყოს საარსებო მინიმუმი. 2

◉ ჩვენი საიმედო თანამემამულენი. 3

„დღეგრძელი იყავით, დღეგრძელი იყოს ქართული ეკლესია!"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს

თქვენო უწმიდესობავ! დიდი მოწიწებით და პატივისცემის ნიშნად თავს ვხრი თქვენი ღვაწლის წინაშე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინებისა და განმტკიცების წმიდათა-წმიდა საქმეში და გილოცავთ დაბადების სამოც წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ სულიერ ენერგიას საქართველოს საკეთილდღეოდ!

ქართველი კაცის გულსა და გონებაში ოდითგანვე გაერთარსებული იყო რწმენა და მამულის სიყვარული. რწმენამაც გადაგვარჩინა. მტერს ყოველთვის ესმოდა ეს და ალბათ ამიტომ ისტორიულად მისი მახვილი უპირველესად ქართული ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. გაუძლო საქართველომ ჟამთასვლის მასხრალ ხელს, ისტორიულ ძნელბედობას გაუძლო. და ეს ალბათ უწინარეს ყოვლისა ისევ და ისევ ქართული ეკლესიის დამსახურებაა, რადგან სწორედ ეკლესია და ჯვარი გახლდათ ის ძალა, რომელიც პატარა და დაუცველ საქართველოს ერთ მუშტად კრავდა განსაცდელის წინაშე.

ისტორია მეორდება, მეორდება სული ისტორიისა. დღეს საქართველოს შინაური თუ გარეშე მტერი ისევ ქართული ეკლესიისაკენ აპარებს ბოროტ მზერას, რადგან ისევ რწმენაში ხედავს საქართველოს გამაერთიანებელ ქვითკირს. თქვენ, თქვენი მაღალი სიმშვიდით, სიბრძნითა და მოყვასის განუზომელი სიყვარულით თქვენს სამწყსოს ერთიანობასა და სიმტკიცეს უნარჩუნებთ, იმ სიმტკიცეს, რომელიც ჰაერივით სჭირდება ჩვენს ახლადფეხადგმულ სახელმწიფოს. მე, როგორც ამ სახელმწიფოს მეთაური და ერისკაცი, როგორც რიგითი მოქალაქე საქართველოსი, დიდ მადლობას მოგახსენებთ ჭეშმარიტი რწმენის მაგალითისთვის, იმ მაგალითისთვის, რომელსაც ყოველთვის გაჰყვება სრულიად საქართველო და თითოეული ქართველი თუ არაქართველი, ვინაც ჩვენს დალოცვილ მიწაზე ცხოვრობს და ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს კეთილდღეობა.

დღეგრძელი იყავით და თქვენთან ერთად და თქვენი მეთაურობით დღეგრძელი იყოს ქართული ეკლესია!

ედუარდ შევარდნაძე.

ნება ღვთისა ზოგჯერ ადვილად გაცხადდება. მცირემორწმუნეთათვისაც არ უნდა ყოფილიყო ძნელი მისახვედრი, რომ სახელმწიფოსაგან ტყვეობაში მყოფი ეკლესიის მინავლებულ წიაღში სხვაგვარი კაცი გამოჩნდა, კაცი უფლის შარავანდით. 1977 წელს იმპერიას ნაკვეთიც არ უკრთოდა. უჭირდა ამ დროს ქართველ ხალხს სულიერად, სხვათა შორის, არ უჭირდა მატერიალურად. ვცხოვრობდით ლამის წარმართებივით. ვგრძნობდით, ამგვარ ხორციელ თვითკმაყოფილებას ღმერთი დიდხანს არ გვაპატიებდა. გაურჯულოების საფრთხე იდგა. ამას გრძნობდა ყოველი მორწმუნის გული, ცნობდა თეოლოგიურ წიგნიერებას ნაზიარევი ადამიანი.

ღვთისგან სასჯელი ორგვარია: ერთია სასჯელი ვითარცა მამისა თავის საყვარელსა და ურჩ შვილზე. ეს არ არის უმსხვერპლო და საყმაწვილო წკეპლა. იგი მეტად მწარეა ბიბლიის მიხედვით. მაგრამ ამგვარი მსხვერპლი და წამება განწმენდს ხალხის ცოდვებს. ამგვარი განსაცდელისგან ხალხი ღვთისნიერად დაბრძენებული და განახლებული სულით ბრუნდება. ღმერთმა ნუ ქნას სხვაგვარი სასჯელი, ცოდვებს რომ შენდობა არ უჩერხდება. ასეთი ცოდვილი ხალხები აღგვილან პირისაგან მიწისა. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ჩვენ ხშირად დაუმსახურებელ იმედს ვამყარებთ უფლის წყალობაზე, — „უფალი მაინც არ გაგვწირავსო". რატომ არ გაგვწირავს, თუ ჩვენ გავწირავთ. „ჩვენთან არს ღმერთი" — ეს ვედრებაა, მაგრამ მის აღსასრულებლად საჭიროა ჩვენ ვიყოთ ღმერთთან ტანჯული და მონანიე გულით. თუ სიღრმისეულად, სულის ძირამდე ვერ ჩავიხედავთ ჩვენს ცოდვებში, თუ ვერ მოვინანიებთ, მანამ სასჯელი არ მოგვაკლდება. აი, ამ გარდატეხის უძნელესი პროცესის წინ მოვლინდა ჩვენთან ეს ღვთით სავსე კაცი; რაც იმის რწმენას გვაძლევს, რომ სასჯელი უფლისა ჩვენზე არის მამის რისხვა თავის ქმნილ ხალხზე. ვიცით, სად მთავრდება ეკლესიის საუფლო საერთო ცხოვრებასთან მიმართვაში. სასულიერო პირნი არ ერევიან ცოდვილ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენი სამწყსოს მწყემსი კეთილი ისე ჩაერია ურთულესი განსაცდელის ჟამს ჩვენს გაწამებულ ყოფაში, როგორც ჩარეულან ჩვენი ეკლესიის ისტორიული ვარსკვლავნი, ჩარეულა როგორც ადამიანურ ვნებათა დამამშვიდებელი, დაპირისპირებულ ეროვნულ ძალთა შემარიგებელი და მოვლენებზე მაღლა მდგომი პიროვნება. რომ არა მისი მადლით აღსავსე ლოცვა, გაუსაძლისი იქნებოდა ის უბედურება, რაც ახლა გვჭირს. ჩვენი ეკლესიის მწყემსი კეთილი, მისი ადამიანური სახე მუდამ გაგვახსენებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას — ღმერთმა ადამიანი შექმნა სახედ თვისად", უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით სულდგმულობს ძნელი პარლამენტი საქართველოსი. მწამს, თუ აქ ერთსულოვნება სუფევს, ეს მისი ლოცვა-კურთხევის ძალითაა. მისი ლოცვა-კურთხევით მფარველობს უფალი ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ყოველ უშიშარ და კეთილ საქვეყნო ნაბიჯს.

უსაზღვრო მადლიერება და ჩემი თაყვანისცემა ამ ღვთისსახება კაცს, რომელიც ხშირად მაგონებს გრიგოლ ხანძთელს, მინდა დიდხანს იყოს ამქვეყნად ეს მარადიული ქვეყნის ღვთითკურთხეული შვილი. კიდევ ერთხელ ცოდვილი გულით და უზომო სიყვარულით ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს დიდ ადამიანს, ილია II-ს დაბადების 60 წლისთავს.

ვახტანგ გოგუაძე,
საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

ომს აფხაზეთში ბოლო უნდა მოეღოს

ორი დღე — განვლილი წლის უკანასკნელი დღე და ახალი, 1993 წლის პირველი დღე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ და პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ აფხაზეთში გაატარეს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, 31 დეკემბრის დილიდანვე სოხუმში გაავდრების მიუხედავად სერიოზული კორექტივები არ ყოფილა შეტანილი საბრძოლო მოქმედებათა ზონაში რესპუბლიკის ხელმძღვანელების დასახული მოგზაურობის პროგრამაში. თუმცა, ავდრის გამო ამ მოგზაურობის მარშრუტი რამდენადმე გართულდა. აფხაზეთში ბათუმის გავლით გაფრინდნენ, იქიდან კი უკვე ვერტმფრენით ჩავიდნენ ოჩამჩირეში. შემდეგ ავტომობილებით მიიკვლევდნენ გზას განუწყვეტელი თოვის შედეგად დათოვლილ გზაზე სოხუმამდე. უნდა ითქვას, რომ ედუარდ შევარდნაძისა და თენგიზ სიგუას თანმხლებმა, ენერგიულმა ჟურნალისტებმაც კი ვერ შეძლეს იმ დღეს ჩასულიყვნენ აფხაზეთში — ბათუმში დაყოვნდნენ, რადგან დაპირებული ვერტმფრენი იმავე ავდრის გამო ვერ ჩავიდა იქ.

საბედნიეროდ, საქართველოს ტელევიზიის ოპერატორმა და საქინფორმის ფოტორეპორტიორმა მაინც მოახერხეს მოხვედრილიყვნენ აფხაზეთისაკენ მიმავალ ვერტმფრენში, და ბევრმა ჩვენგანმა ტელევიზიით ნახა, თუ როგორი მამობრივი გულთბილობითა და გულითადობით ულოცავდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები ახალ წელს ჩვენს მეომრებს მოწინავე ხაზზე, უსურვებდნენ მათ ომის რაც შეიძლება მალე დამთავრებას.

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად გაიმართა აფხაზეთში დასახული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ყველა შეხვედრა. ოჩამჩირეშიც და სოხუმშიც, საბრძოლო მოქმედების ზონაში უშუალოდ მოწინავე ხაზზე სჯა-ბაასი შეეხებოდა ფართო სპექტრის საკითხებს რეგიონში შექმნილი ვითარების, ყოველივე საჭიროთი ჯარების უზრუნველყოფის, სურსათ-სანოვაგით, სითბოთი, ელექტროენერგიით, სათბობით მოსახლეობის მომარაგების შესახებ... ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, პარლამენტარებთან შეხვედრებისა და საუბრების, თათბირების დროს განსაკუთრებული ყურადღების საგანი ხდებოდა საკითხი, რომელიც ასე აწუხებს დღეს ყველას არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოშიც. ეს არის უაზრო ძმათამკვლელი ომის დამთავრების საკითხი, თავს რომ მოგვახვიეს სეპარატისტულმა და ექსტრემისტულმა ძალებმა რუსეთის წითელ-მიხაკისფერ პოლიტიკურ წრეებთან ერთად. ამასთან ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ ეს ომი, რომელმაც უკვე უზომო მწუხარება და ტანჯვა-ვაება მოგვაყენა, აუცილებლად უნდა დამთავრდეს და აღდგეს აფხაზთა და ქართველთა ტრადიციული ურთიერთობა, რომელიც სათავეს შორეულ საუკუნეებში იღებს.

მოგვიანებით, თბილისის აეროპორტში მოგზაურობის შედეგების შეჯამებისას, ედუარდ შევარდნაძემ და თენგიზ სიგუამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ბოლო მოეღოს ომს აფხაზეთში, სადაც წარმოუდგენლად ძნელ პირობებში ჩვენი მეომრები — უწვერულვაშო ჭაბუკები და ჭაღარა მამები — იცავენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. სწორედ მათი თავდადება, სამართლიანობის გამარჯვებისათვის სიცოცხლის გასაწირავად მზადყოფნაა იმის საწინდარი, რომ საქართველო მოიპოვებს ნამდვილ დამოუკიდებლობას. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახალი წელი გარდამტეხი იქნება საქართველოსათვის და დიდი ხნის ნანატრ მშვიდობას მოუტანს მის ხალხს და, მაშასადამე, შეაძლებინებს მას მთლიანად მოახმაროს თავისი ენერგია აღმშენებლობითს შრომას.

სურათებზე: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა აფხაზეთში ყოფნის დროს.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს

ევროპის ქვეყნების მინისტრები მიესალმებიან დემოკრატიის წინსვლას საქართველოში

როგორც ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია, გასული წლის დეკემბერში სტოკჰოლმში გაიმართა ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მესამე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს დელეგაციაც საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის მეთაურობით.

შეხვედრაზე მიიღეს ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში შექმნილ სიტუაციას. გთავაზობთ იმ ადგილებს დოკუმენტიდან, რომლებიც საქართველოს შეეხება.

მინისტრებმა განაცხადეს, რომ კვლავაც მზად არიან, ხელი შეუწყონ საქართველოში ვითარების სტაბილიზაციას, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, რაც შექმნის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის ხელსაყრელ პირობებს. ამასთან დაკავშირებით, მინისტრები მიესალმებიან დემოკრატიის წინსვლას, რისი ნათელი დასტურიც არის ლეგიტიმური მთავრობის არჩევა, და იმედს გამოთქვამენ, რომ საარჩევნო პროცესი მალე დასრულდება დამაკმაყოფილებელი ფორმით.

მინისტრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ ქართველებსა და ოსებს შორის მიღწეული შეთანხმება კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე კვლავ ძალაშია. ამავე დროს, შეშფოთება გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ არ შეინიშნება წინსვლა კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების საქმეში. მინისტრები მიესალმნენ კონფლიქტის ზონაში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჯგუფის თვალსაჩინო ყოფნას; კმაყოფილება გამოთქვეს კონფლიქტში ჩაბმული ორივე მხარის, სამმხრივი სამშვიდობო ძალებისა და ადგილობრივი მებრძოლი ჯგუფების ხელმძღვანელების წარმომადგენლებთან პირველი კონტაქტების დამყარების გამო. მინისტრებმა ასევე მოუწოდეს მხარეებს სრულად ითანამშრომლონ ამჟამინდელი თავმჯდომარის პირად წარმომადგენელთან, რათა მან შეძლოს ჩარჩოს შექმნა მშვიდობიანი და მდგრადი მოგვარებისათვის, როგორც ამას ითვალისწინებს სოჭის 1992 წლის 24 ივნისის ხელშეკრულების დებულებანი.

მინისტრები კვლავაც ღრმად არიან შეშფოთებული აფხაზეთში ბრძოლების გააქტიურების, დიდი მსხვერპლისა და იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე მხარეთა შეიარაღებული ძალები არ გამოირჩევიან დისციპლინითა და ზომიერებით. მინისტრებმა მოუწოდეს აფხაზეთის კონფლიქტში ჩაბმულ ყველა მხარეს განაახლონ მათი ძალისხმევა, რათა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმების დებულებათა საფუძველზე, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ძირითადი პრინციპებისა და გაეროს ქარტიის შესაბამისად, გამონახონ მშვიდობიანი მოგვარების გზა. მინისტრებმა სთხოვეს მხარეებს ითანამშრომლონ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიასთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ელჩი დიარმატი და რომლის მანდატიც შეიცავს პოლიტიკური მოლაპარაკებებისათვის ჩარჩოს მომზადებას.

მინისტრებმა სთხოვეს ამჟამინდელ თავმჯდომარესა და მის პირად წარმომადგენელს საქართველოში, გაეროსთან თანამშრომლობით შეიმუშაონ საქმიანობის კოორდინაციის პრაქტიკული მოდელი, რათა შრომის რაციონალური დანაწილების გზით მიღწეული იქნეს მაქსიმალური ეფექტიანობა. მონაწილე სახელმწიფოები რეგულარულად მიიღებენ ინფორმაციას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დამსახურებული ინჟინერი

არქიპო მირონის ძე ლაბახუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა ა. მ. ლაბახუას დამკრძალავი კომისია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის გურამ მირიანაშვილის თავმჯდომარეობით.

ა. მ. ლაბახუა დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ა. მ. ლაბახუას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ა. მ. ლაბახუას დამკრძალავი კომისიისაგან

გამოსვენება — 5 იანვარს დღის 2 საათზე, ილია ჭავჭავაძის გამზირი, № 9.

მთელი პასუხისმგებლობა არძინბას ხროვას დაეკისრება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

ახალი წლის ღამესა და დამდგარი 1993 წლის პირველ დღეებში მნიშვნელოვნად გააქტიურეს მოქმედება ფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა და მათმა დაქირავებულებმა, რომლებმაც დაიწყეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის სისტემატური დაბომბვა.

ყველაზე ინტენსიურად ცეცხლის დაშენა წარმოებდა მთელი 4 იანვრის ღამის განმავლობაში, როცა სეპარატისტთა არტილერიის სამიზნედ იქცა ქალაქ სოხუმის ისტორიული ცენტრი. ხუთი აფეთქება მოხდა უშუალოდ მთავრობის სახლის შენობის, საქალაქო მერიის, სამედიცინო დაწესებულებების, აფხაზეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მახლობლად. ჭურვები ფეთქდებოდა ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონის — ჭანბას ქუჩის მიდამოებშიც. სამწუხაროდ, არის ახალი მსხვერპლი, რომელთა შორის სამია რუსი ეროვნების მოქალაქე.

ჩვენ არაერთგზის გაგვიკეთებია განცხადებანი აფხაზეთის, საქართველოს, აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის მტერთა ბარბაროსული მოქმედების გამო, ვიჩენდით მაქსიმალურ თავშეკავებას, სისხლისა და ნგრევის მიუხედავად, რაც მოქალაქეთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს. მაგრამ აფხაზეთის მხარის მომაკვდინებელი აქციები არა თუ არ შეწყდარა, არამედ მეტ ინტენსიურობასაც იძენენ.

ამასთან დაკავშირებით, მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უშიშროების გარანტიის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ თუ ქალაქ სოხუმის საარტილერიო დაბომბვა გაგრძელდება, განხორციელდება ადეკვატური ღონისძიებანი ქალაქ გუდაუთისა და მისი მიდამოების მიმართ. მოვლენათა ასეთი განვითარების შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება არძინბას ხროვას, რომელმაც გააჩაღა სისხლისმღვრელი ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.
თამაზ ნადარეიშვილი.

ქ. სოხუმი, 1993 წლის 4 იანვარი.

ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა მოსაგვარებლად

კვლავ გართულდა საქართველოს ნაღდი ფულით მომარაგების პრობლემა. დეკემბერში გამოსაყოფი რესპუბლიკისათვის კუთვნილი 15 მილიარდი მანეთი რუსეთის მთავრობის და ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებით საქართველოში არ იქნა გამოგზავნილი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გართულოს მოსახლეობისათვის ხელფასების, სტიპენდიების და პენსიების დროულად გაცემა. გარდა ამისა, მთლიანად შეწყვეტილია საბანკო ანგარიშსწორება საქართველოს და რუსეთს შორის. რის გამოც, შეუძლებელი ხდება ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების მიერ რუსეთიდან საქონლის შემოტანა.

ანგარიშგების და ფულად-საკრედიტო ურთიერთობების საკითხი მოითხოვს დროულად გადაწყვეტას. ამ და სხვა საკითხების მოსაგვარებლად რუსეთს გაემგზავრა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის **რომან გოცირიძის** ხელმძღვანელობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან **მიხეილ ჯიბუტი** — ეკონომიკის მინისტრი, **დემურ დვალიშვილი** — ეროვნული ბანკის თავმჯდომარე, **ვალერიან ადვაძე** — პარლამენტის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე, **ნუგზარ ფიფია** — ეროვნული ბანკის თავმჯდომარის მოადგილე, **დავით კოხრეიძე** — მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო მრჩეველი.

დელეგაციის მიზანია აგრეთვე, საგარეო-ეკონომიკური ხელშეკრულების მომზადების დაჩქარება, რაზეც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სხვა საკითხების გადაწყვეტაც.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებული კვების პროდუქტებით ვაჭრობაში შეზღუდვების შემოღების შესახებ, რომელიც საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ იქნა მომზადებული.

აღნიშნული დადგენილება მიღებული იქნა ეკონომიკური პროფილის სამინისტროთა ხელმძღვანელებთან შეუთანხმებლად და მათი აზრის გაუთვალისწინებლად. იგი ეწინააღმდეგება ეკონომიკური რეფორმის ძირითად კურსს, რის გამოც მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მის ავტორებს.

პატივისცემით
რომან გოცირიძე,
რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

ამოსუნთქვამდე

„ერის უმთავრეს განძს— მიწას უნდა გავუფრთხილდეთ!“

მიწის რესურსებისა და კადასტრის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ადრე წარდგენილმა ბატონ პაატა კოლუაშვილის კანდიდატურამ, ასე ვთქვათ, ვერ გაიარა. ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე პარლამენტს წარუდგინეს ახალი კანდიდატურა — ზურაბ გეგეჭკორი, რომელიც მანამდე სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

განხილვის დროს ბატონმა, პაატა კოლუაშვილმა სიტყვა ითხოვა და დადებითად დაახასიათა წარმოდგენილი კანდიდატურა — ფაქტობრივად მეტოქე.

ბატონი ზურაბ გეგეჭკორის საწინააღმდეგო არავის არაფერი აღმოაჩნდა — ყოველ შემთხვევაში ხმამაღლა ეს არავის გამოუხატავს და კენჭისყრამ უექსცესოდ ჩაიარა — ზურაბ გეგეჭკორი მიწის რესურსებისა და კადასტრის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცეს.

ახალ თავმჯდომარეს ძველი კითხვა მივაგებე: რომელი გრძნობა ჭარბობს ამ წუთში თქვენში?

— უდიდესი პასუხისმგებლობისა. თავად ეს საკითხი ხომ საკითხთა საკითხია, იგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მომავალში გადასაწყვეტ პრობლემათა საფუძველია. ამას ემატება ამ საკითხისადმი ადამიანთა განსაკუთრებული ინტერესიც, ისე რომ, კარგად მაქვს გაცნობიერებული საკეთებელი საქმის მთელი მნიშვნელობა და სიმძიმე.

— ისევ ტრადიციული კითხვა: რით უნდა დაიწყოთ?

— პირველ რიგში, აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შექმნა. მხედველობაში მაქვს მიწის კოდექსი, მიწის ეკონომიკური და ბუნებრივი ნაყოფიერების მიხედვით შერჩევის და მიწათსარგებლობისათვის გადასახადების კანონ-პროექტები. ეს მოგვცემს მიწის საკუთრების ფორმებისა და მისი გამოყენებისადმი ერის დამოკიდებულების განსაზღვრის საშუალებას.

შემდეგ საჭიროა მიწის საყოველთაო, ყოვლისმომცველი ინვენტარიზაცია მისი კატეგორიების მიხედვით, რათა რეალურად დავაფიქსიროთ ჩვენი სიმდიდრე.

მესამე: მიწის პრივატიზაციის გაგრძელება და იმ ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც ამ საქმეში იქნა დაშვებული პრივატიზაციის პირველ ეტაპზე.

— თქვენ ფიქრობთ, ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელია?

— დიახ. ამ ხარვეზებს ობიექტური მიზეზები ჰქონდა. მხედველობაში მაქვს საკანონმდებლო ბაზის უქონლობა და ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა.

და, ბოლოს: ყოველდღიური საზრუნავი — მიწის რაციონალური გამოყენებისათვის ზრუნვა და მიწის ნაყოფიერების ამაღლება.

— რა იგულისხმება ამაში კონკრეტულად?

— ჩვენ მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და თითოეული გოჯი ნიადაგი დანიშნულებისამებრ უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სხვა დანიშნულებით, ვთქვათ მშენებლობისთვის გამოყენება. ამისათვის მწირი მიწებიც გამოდგება. კი, შესაძლებელია ეს ზედმეტ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული. მაგრამ სამაგიეროდ შევინარჩუნებთ ერის უმთავრეს სიმდიდრეს — ნაყოფიერ მიწებს, რომლის შექმნას ბუნებამ მილიონობით წლები მოანდომა.

და კიდევ ერთი პრობლემა: მიწის გადაცემა საკუთრებაში. უთუოდ უნდა იქნეს დაცული კანონის ის მოთხოვნა, რომელიც მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ითვალისწინებს. თუ მესაკუთრე წესს დაარღვევს, მას უსასყიდლოდ მოცემული მიწა ჩამოერთმევა და მიეყიდება მსურველს, ანუ იმას, ვისაც მისი მოვლის სურვილიც შესწევს და უნარიც. ეს სააღგილმამულო ბანკის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. საერთოდ, მიწის საკუთრების პრობლემა, არაერთხელ თქმულა, მჭიდროდ უკავშირდება მოქალაქის სტატუსის კანონს, რომელმაც ამ საკითხის უმთავრესი რეგულატორის როლი უნდა შეასრულოს. ასე რომ, წინ უამრავი საქმეა.

გალინა ხარებაშვილი.

სიტყვა პარლამენტის კომისიის თავმჯდომარეს

პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტი **ზაზა სიხარულიძე.**

ვერ ვიტყვი, მისმა კანდიდატურამ ყველა პარლამენტარი ერთნაირად აღაფრთოვანა, მაგრამ კენჭისყრით არჩევანი მის სასარგებლოდ გაკეთდა.

ვფიქრობ, ვინც ბატონ ზაზას კანდიდატურაზე უარი თქვა თუ თავი შეიკავა, მხოლოდ და მხოლოდ მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო, თორემ ბავშვთა ცერებრალური ტრამვით შეპირვებულმა ზაზა სიხარულიძემ 1977 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის 184-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1982 წელს წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, არაბული ენის სპეციალობით. 1985 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად. 1989 წელს კი იგი გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. არის ერთი წიგნისა და 500-მდე პუბლიკაციის ავტორი.

ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება 1978 წელს. 1989 წელს აირჩიეს ინვალიდთა ასოციაციის (შემდგომში ღვთისშვილთა კავშირის) პრეზიდენტად, ხოლო 1990 წელს ეროვნული ფორუმის, ეროვნული კონგრესისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრად, 1992 წელს კი ეროვნული კონგრესის სოციალურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ. პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევამდე იყო პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის კომისიის წევრი.

ჰყავს მეუღლე ნონა კენჭუაშვილი — ღვთისშვილთა კავშირის თანაპრეზიდენტი და სპიკერი, პარლამენტის წევრი.

ცოტა რამ ზაზა სიხარულიძის ცხოვრებიდან:

ლაპარაკი და სიარული ოთხი წლიდან დაიწყო მიუხედავად ამისა, მშობლებმა ჩვეულებრივ სკოლაში მიიყვანეს და არა ინტერნატში. გაკვეთილებზე ზურგზე მოკიდებული დაჰყავდა მამას — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს იური სიხარულიძეს. შინ კი მოთმინებით ცდილობდა მისი გონების ყოველმხრივ განვითარებას. უმკაცრეს პირობებში იზრდებოდა, არავითარი შეღავათი არ ჰქონია მისი მდგომარეობის გამო.

— სკოლიდან მოყოლებული, ყოველთვის კეთილი ადამიანების ზრუნვასა და თანადგომას ვგრძნობდი — ამბობს იგი და თავის დღევანდელ მდგომარეობასაც სწორედ ამ თანადგომასა და ზრუნვას უმადლის.

— ბატონო ზაზა, ალბათ, არაფერი ისე არ აღიზიანებს ადამიანს და ისე უარყოფითად არ მოქმედებს მის ფსიქიკაზე, როგორც მძიმე სოციალური მდგომარეობა და სოციალური უსამართლობა.

„თანადგომის ფასი ბავშვობიდან ვიცი“

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში წლების მანძილზე ადამიანი სოციალურად დაუცველია და ამაოდ დაეძებს სამართალს (ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო), რამაც ათასგვარ უბედურებას გადაგვყარა. რა არ გვასწავლა, რას არ მიგვაჩვია: კორუფციას, ქრთამს, ძარცვა-გლეჯას, კაცის კვლასაც კი...

ახლა თითქოს ახალ ცხოვრებას ვიწყებთ, ვცდილობთ ყველაფერი ცივილიზებულ კალაპოტში ჩავაყენოთ, მაგრამ სოციალური დაძაბულობის მაჩვენებელი არა და არ იწევს ქვევით, პირიქით... არცაა გასაკვირი, როცა ქვეყანაში ომია, როცა ერთნაირად გვიყილა შინაურმა თუ გარეშე მტერმა, ბუნებრივია, ქვეყანაში ყველაფერი წესრიგში ვერ იქნება, მაგრამ როდემდე? სოციალურმა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. ბუნებრივია, თქვენს კომისიას უამრავი უკმაყოფილო და გაჭირვებული მოაკითხავს...

— როგორ ფიქრობთ საქმის წარმართვას?

— უპირველესად, უფლის რწმენა მასულდგმულებს. მე ამ რწმენის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია. შემდეგ კომისიის წევრთა გულისხმიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის იმედი მაქვს. ვიცი, იმდენი საფიქრალ-საზრუნავი გვექნება, დღე-ღამის გასწორება მოგვიწევს... აი, ავიღოთ, მაგალითად, საცხოვრებელ ბინებში ეგრეთ წოდებული უნებართვოდ შეჭრილთა უმწვავესი პრობლემა. იგი ისევე როგორც სხვა ურთულესი საკითხი კანონის უზენაესობისა და ჰუმანურობის პრინციპების ურთიეროშეთანხმებით უნდა გადაწყდეს.

სამწუხაროდ, სოციალურ სფეროში სამართლებრივი მექანიზმის შექმნა მხოლოდ ახლა იწყება. ჩვენ უნდა გვქონდეს მოსახლეობის სოციალური დაცვის პოლიტიკურად მისაღები, მეცნიერულად დასაბუთებული და ეკონომიკურად რეალური კონცეფციისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროგრამის საფუძვლები. ამ თვალსაზრისით შესასრულებელია ყოვლისმომცველი საკანონმდებლო სამუშაო. ჩვენ ხომ წმინდა ქართული კანონები არ გვქონია, ის, რითაც აქამდე ვხელმძღვანელობდით, მხოლოდ იმპერიული კანონებიდან გამომდინარე იყო შემუშავებული. კატეგორიების მიხედვით, ადამიანთა სოციალურ დაცვასა და უზრუნველყოფაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, რესპუბლიკაში თითქმის (სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს) ერთი მილიონ სამასი ათასზე მეტი პენსიონერია. მათ შორის, ორასი ათასზე მეტი ღვთისშვილი (დღემდე ოფიციალურად ინვალიდებს რომ ვეძახით), 25 ათასამდე ამ კატეგორიის ბავშვი, 15 ათასამდე მარტოხელა, 100 ათასს აჭარბებს ხიზანთა რიცხვი, ასევე 100 ათასზე მეტია უმუშევარი. ამას დავუმატოთ სოციალურად დაჩაგრული სხვა კატეგორიის ადამიანებიც. ყველას გულისხმიერება და მზრუნველობა, სოციალური დაცვა და უზრუნველყოფა ესაჭიროება. ამიტომაც, პირველ რიგში მისაღებია კანონები საპენსიო უზრუნველყოფისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესახებ, რასაც უნდა მოჰყვეს კანონთა და დადგენილებათა მიღება სოციალური დაცვის დარგში ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთა (პენსიონერთა, ღვთისშვილთა, სტიქიურ თუ სხვა უბედურ მოვლენათა შედეგად დაზარალებულთა, დედათა და ბავშვთა, ხანდაზმულთა, უმუშევართა, ხიზანთა, რეპრესირებულთა, პატიმართა).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ყურადსაღები შეიარაღებული ძალების, შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების ორგანოების მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის საკითხი. ამ ასპექტით გადაუდებლად შესამუშავებელია საბრძოლო ვითარებაში თუ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას დაღუპულ ამ კატეგორიის პირთა სტატუსი და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები.

არის მოსაზრება ამგვარი პირები გაუთანაბრდნენ მსოფლიო ომში დაღუპულთა კატეგორიას და მათი ოჯახის წევრებიც სარგებლობდნენ შესაბამისი შეღავათებით. რამდენადაც ვიცი, ამის თაობაზე უკვე მზადდება სამთავრობო დადგენილება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კანონების მომზადება და მიღება შრომისა და დასაქმების შესახებ.

— თქვენი საუბრიდან კარგად ჩანს დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი ინტერესი და პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ კომისია მხოლოდ კაბინეტური და საკანონმდებლო მუშაობით ხომ არ შემოიფარგლება?

— არამც და არამც, რადგან კარგად გვესმის ამა თუ იმ საკითხის ზოგადი ცოდნა არ შველის საქმეს, კაბინეტიდან დანახული პრობლემა არ მოგვარდება, პირისპირ უნდა შეეჩეხო, ღრმად ჩაწვდე, გულთან მიიტანო. ამიტომაც განზრახული გვაქვს გავიდეთ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში. ადგილებზე გავეცნოთ საქმის ვითარებას, მოვუსმინოთ ხალხს, გავითავისოთ მათი გულისტკივილი, ვნახოთ და გავიგოთ ვის რა, როგორ უჭირს. სხვაგვარად არაფერი გამოვა. ხშირად ხალხი ხომ თვითონ გვთავაზობს საქმიან წინადადებებს, სოციალური დაცვის მეთოდის გარდაქმნის გზებს. მე კიდევ ღვთის ნებისა და რწმენის იმედი მაქვს, აგრეთვე არც ისე მცირერიცხოვანი თანამოაზრეებისა, რომელთაც კარგად ესმით, თუ რა უნდა გავაკეთოთ ამ თვალსაზრისით. ხელისუფლების მხრიდანაც მხარდაჭერის არანაკლები იმედი მაქვს.

— რას იტყოდით ჩვენს სოციალურ უზრუნველყოფაზე?

— ამ სფეროში უნდა განხორციელდეს რესპუბლიკური სისტემის კარდინალური რეორგანიზაცია. პირველი ეტაპი უკვე დამთავრდა: შეიქმნა სოცუზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო, ასევე, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი, მაგრამ ჩვენი აზრით, სამომავლოდ, აღნიშნულ უწყებათა როლი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლისა და მაკონტროლებლის ფუნქციებით უნდა შემოიფარგლოს. სამეურნეო დანიშნულების სამსახურები, ძირითადად, უნდა განსახელმწიფოებრივდეს. კერძოდ შეიქმნას სოცდაზღვევის კერძო კომპანიები და სოციალური ბანკი, შრომის ბირჟები. საქველმოქმედო საქმიანობაში უნდა წახალისდეს მეწარმეთა თუ სხვა კერძო მოქალაქეთა ინიციატივები.

გადასახედია, უპირველესი მოხმარების პროდუქტებისა და საქონელზე ფასების ზრდის, კომპენსაციებისა და ხელფასების მომატების დღეს არსებული პრაქტიკა.

დასადგენია სამომხმარებლო კალათა. როცა ერთი ბიდონი ბენზინი არანაკლებ 4 ათასი მანეთი ღირს, ხელფასის მინიმალური დონე კი 1700 მანეთია — პირდაპირ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ერთი სიტყვით, დღეს აუცილებელია, სამოქალაქო და სოციალური მშვიდობის დამყარება.

— ბატონო ზაზა, მართალია, ჯერ არცთუ დიდი ხანია, რაც თქვენი კომისია შეიქმნა, მაგრამ გავბედავ და გთხოვთ ორიოდე სიტყვას გაკეთებულზე.

— ზღვაში წვეთია, მაგრამ ვთვლი, რომ კომისიამ პრაქტიკული საქმიანობა უკვე დაიწყო. კერძოდ: სხვა საპარლამენტო კომისიებსა და მთავრობას განსახილველად უკვე გადავეცით კანონპროექტები საპენსიო უზრუნველყოფისა და ღვთისშვილთა სოციალური დაცვის შესახებ. უკვე მივიღეთ სხვადასხვა სოციალური პრობლემით შეჭირვებული 100-ზე მეტი მოქალაქე. იგივე სოციალურ პრობლემებზე 139 კოლექტიური თუ კერძო წერილი, მოწვეულ კომპეტენტურ სპეციალისტებთან ერთად შევისწავლეთ და სათანადო რეაგირებაც მოვახდინეთ 42 განცხადებაზე. 23 კი მხოლოდ შესწავლილია და მალე გადაეცემა სათანადო უწყებებს რეაგირებისათვის.

ასევე, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საპარლამენტო კომისიასთან ერთად ვსწავლობთ საქართველოს პროფკავშირებში შექმნილ ურთულეს ვითარებას. კომისიამ დაიწყო ღვთისშვილთა ორგანიზაციებში, ამჯერად, უსინათლოთა საზოგადოებაში, არსებულ პრობლემათა შესწავლა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

რუსუდან ლორთქიფანიძე.

●

სურათზე: პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა სიხარულიძე და მისი მეუღლე, პარლამენტის წევრი ნონა კენჭუაშვილი.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

რუსთავში მეტრო ჩაგვიყვანს

დამთავრდა რუსთავის 14-კილომეტრიანი ტრამვაის ხაზის დაპროექტების სამუშაოები. ახალ სარკინიგზო არტერიას ქალაქის მესვეურებმა და დამპროექტებლებმა „ღია მეტროპოლიტენი“ უწოდეს.

რუსთავის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი სოსო არეშიძე გვეუბნება:

— შედარებით იაფი და მოხერხებული ტრანსპორტის სახეობის დანერგვის ინიციატორები არიან ქალაქის წამყვანი სამრეწველო საწარმოები: მეტალურგიული კომბინატი, „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“ გაერთიანებები, ამწესაშენებელი ქარხანა და სხვა კოლექტივები. მათვე გადაწყვიტეს საამისოდ გამოეყოთ სათანადო სახსრები, რაც ასკეცად აუნაზღაურდებათ: მუშა-მოსამსახურეებს მგზავრობისას შეფერხება აღარ ექნებათ, მშენებლობა მომავალ გაზაფხულზე დაიწყება.

დავით ბიწაძე.

●

შვეულმფრენი — თავდაცვის ფონდს, თედიაშვილს — მადლობა

ქართველი ბიზნესმენის ლევან თედიაშვილის სურვილის შესაბამისად მის მიერ სახელმწიფო საბჭოსათვის შეძენილი შვეულმფრენი მი-8 სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით ჩათვლილია საქართველოს თავდაცვის ფონდის კუთვნილებად.

შვეულმფრენის ღირებულება დღევანდელი ფასით 50 მილიონ მანეთს აღემატება.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობის წერილი გაუგზავნა ბატონ ლევან თედიაშვილს.

●

ბანკის თანამშრომელთა დანაზოგი მეომრებს

29 დეკემბერს ინდუსტრიაბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ზაალ გენძეხაძემ ბანკის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჰუმანიტარული დახმარების სახით ქართველ მეომრებს სოხუმში ჩაუტანა და გადასცა საახალწლო ნობათი — ბანკის თანამშრომელთა დანაზოგით შეძენილი 2 ტონა შაქრის ფხვნილი, 800 წყვილი ჩექმა, 1000 ქილაზე მეტი სხვადასხვა კონსერვი, სიგარეტი, ვერმიშელი და სხვა პროდუქტები, სულ 3,5 ტონა ჰუმანური ტვირთი.

საარსებო მინიმუმი

რა დონისა უნდა იყოს იგი და როგორია რეალური მდგომარეობა?

საზრისი

ანზორ პატარიძე.

ნებისმიერ ადამიანს, მუშაკს, მიუხედავად იმისა, თუ სახალხო მეურნეობის რომელ დარგშია დასაქმებული, მიღებული ხელფასით უნდა შეეძლოს როგორც თავისი თავის რჩენა, ისე ოჯახის შენახვა.

მაგრამ ხელფასიც არის და ხელფასიც; მისი ყველაზე დაბალი დონე მინიმალური ხელფასია. ეს არის მუშა-მოსამსახურეებისათვის სახელმწიფოს მიერ დაწესებული თვიური ნომინალური ხელფასის მინიმალური ოდენობა, რომელზე ნაკლებიც არ შეიძლება მიეცეს მუშაკს. მინიმალური ხელფასი ენიშნებათ იმ მუშაკებს, რომელთა შრომაც არ მოითხოვს წინასწარ მნიშვნელოვან მომზადებას, აქვთ დაბალი კვალიფიკაცია და ეწევიან მარტივ შრომას.

მინიმალურ ხელფასს საფუძვლად უდევს მატერიალური უზრუნველყოფის მინიმუმი. მუშაკს, რომელიც მინიმალურ ხელფასს იღებს, სხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად უნდა შეეძლოს კვლავ აწარმოოს სამუშაო ძალა (აღიდგინოს დახარჯული ფიზიკური და სულიერი ენერგია, აიმაღლოს კვალიფიკაცია, არჩინოს ოჯახი, იყოლიოს და აღზარდოს შვილები და საზოგადოებას მოუმზადოს ახალი კვალიფიციური სამუშაო ძალა).

საქართველოში მინიმალური ხელფასი შეადგენდა: 1950—1956 წლებში — 22 მანეთს, 1957—1964 წლებში — 27-35 მანეთს, 1964—1967 წლებში — 35 მანეთს, 1968—1977 წლებში —60 მანეთს, 1977—1990 წლებში —70 მანეთს, 1991 წლის დამლევს — 140 მანეთს, 1992 წლის თებერვალ-აპრილში — 320 მანეთს, 1992 წლის მაის-ივლისში —500 მანეთს, აგვისტო-სექტემბერში — 650 მანეთს, ოქტომბერში — 850 მანეთს, 1 ნოემბრიდან — 1700 მანეთს.

მატერიალური წარმოების ზოგიერთ დარგში და საწარმოში წარმოების დონის დაქვეითების გამო 1991 წლის დამლევს და 1992 წლის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მინიმალურ ხელფასზე მცირე იყო.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში შეადგენდა: 1950 წელს — 64 მანეთს, 1960 წელს — 75 მანეთს, 1970 წელს — 106 მანეთს, 1980 წელს — 145 მანეთს, 1985 წელს — 168 მანეთს, 1990 წელს — 205 მანეთს, 1991 წელს — დაახლოებით 380 მანეთს, 1992 წლის თებერვალ-მარტში დაახლოებით 750-800 მანეთს. 1992 წლის მაისიდან მთავრობის დადგენილებით ბიუჯეტური დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი გაიზარდა 56 პროცენტით, აგვისტოს თვიდან — 30 პროცენტით, ოქტომბრის თვიდან — კიდევ 30 პროცენტით, ხოლო ნოემბრის თვიდან— 100 პროცენტით. ამჟამად სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი ოთხი ათას მანეთს აღემატება.

ეს, რაც შეეხება ხელფასს, მაგრამ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული კვების პროდუქტების ნორმები, ულუფა, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა ასაკის მოზარდისა თუ ზრდასრული ადამიანისთვის. მოზარდმა, მაგალითად, დღე-ღამეში უნდა მიიღოს 3000-3500 კალორია. რაციონალური კვებისათვის აუცილებელია საკვები კომპონენტების (ცილა, ამინომჟავები, ცხიმმჟავები, ფოსფატიდები, სტეარინები, ცხიმი, შაქარი, ვიტამინები, მინერალური მარილები, ორგანული მჟავები და სხვ.) ოპტიმალური თანაფარდობა, ანუ დაბალანსება. ულუფაში აუცილებლად უნდა შედიოდეს ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი. მიღებულ კალორიათა 14 პროცენტი უნდა მოდიოდეს ცილებზე, 30 პროცენტი —ცხიმებზე, ხოლო 50 პროცენტი — ნახშირწყლებზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არასრულყოფილი კვება იწვევს ცალკეული ორგანოებისა და სისტემის ფუნქციის მოშლას და ორგანიზმის საერთო დაძაბუნებას. საკვების უკმარისობა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მოზარდებზე, აფერხებს მათ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, აქვეითებს სხვადასხვა ინფექციისადმი წინააღმდეგობის უნარს. არასრულყოფილი კვება იწვევს უაღრესად უარყოფით სოციალურ შედეგებს.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში ვერ ღებულობდა და დღესაც ვერ ღებულობს მეცნიერულად დასაბუთებულ ულუფას. ამჟამად ჩვენი საზოგადოების ერთი მესამედი და მეტი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს, ძლივძლივობით შოულობს საზრდოს მეორე დღისათვის.

კვების პროდუქტების მინიმალური ნორმატივი, რომელიც აუცილებელია ადამიანმა მოიხმაროს წლის განმავლობაში, შეადგენს: პური და პურის პროდუქტები— 110 კგ, სხვადასხვა სახის ბურღული — 13 კგ, ხორცი და ხორცის პროდუქტები — 64 კგ, რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადათვლილი) — 350 კგ, კვერცხი — 750 ცალი, თევზი და თევზის პროდუქტები — 20 კგ, მცენარეული ზეთი — 5 კგ, მარგარინი — 9 კგ, ბოსტნეული — 115 კგ, ბახჩეული — 20 კგ, ხილი და კენკრა — 52 კგ და ა. შ.

ყოველ თვეში ადამიანს კვების პროდუქტების მინიმალური ნორმატივის საყიდლად ამჟამად არსებული სახელმწიფო საცალო, კომერციული და საბაზრო საცალო ფასების გათვალისწინებით სჭირდება 4000 მანეთი და მეტი, მაშინ როცა მინიმალური თვიური ხელფასი 1700 მანეთია.

ადამიანს, გარდა კვების პროდუქტებისა, სჭირდება ბინა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, საოჯახო და კულტსამეურნეო საქონელი, მედიკამენტები, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები, სათბობი, ტრანსპორტი, ასევე დასვენება, გართობა. სხვა მატერიალური და სულიერი სიკეთე.

როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლის შესაძენად ამჟამად არსებული ფასებიდან გამომდინარე ადამიანს ყოველთვიურად როგორც მინიმუმი, სჭირდება რვა ათასი და მეტი მანეთი.

როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონელი და მომსახურება დღითიდღე ძვირდება. ინფლაციური პროცესები ძლიერდება. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და მოსახლეობის ფართო ფენების რეალური შემოსავალი განუხრელად მცირდება. ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

1992 წლის დეკემბერში 1990 წელთან შედარებით საცალო ფასები გაიზარდა: პურზე და პურპროდუქტებზე, ბურღულზე, ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე, თევზზე და თევზის პროდუქტებზე, კარაქზე, ყველზე, მცენარეულ ზეთზე, მარგარინზე, კარტოფილზე დაახლოებით 100-ჯერ, შაქარზე — დაახლოებით 200-ჯერ, ბოსტნეულზე და ხილზე — დაახლოებით 30-ჯერ, ასანთზე — 300-ჯერ, საქალაქო ტრანსპორტზე — 60-ჯერ და ა. შ.

შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ 1947 წლის დეკემბრის დამლევს (1947 წლის დეკემბერში გამოშვებული ფულის კურსით) 1 კგ პირველი ხარისხის ხორბლის პურის სახელმწიფო საცალო ფასი იყო 7 მანეთი, ერთი კგ I ხარისხის ხორბლის ფქვილისა — 8 მანეთი, ერთი კგ. I ხარისხის მაკარონისა — 10 მანეთი, ერთი კგ რაფინადი შაქრისა — 15 მანეთი, ერთი კგ I ხარისხის ძროხის ხორცისა — 30 მანეთი, ერთი კგ. უმაღლესი ხარისხის კარაქისა — 64 მანეთი, ერთი კგ მზესუმზირის ზეთისა — 30 მანეთი, ერთი კგ. ახლადგაყინული I ხარისხის თევზისა —. 12 მანეთი, ერთი კგ დაფქვილი მარილისა — 1,6 მანეთი.

1990 წელს (1961 წელს გამოშვებული ფულის კურსით) ერთი კგ პირველი ხარისხის პურის სახელმწიფო საცალო ფასი იყო 30 კაპიკი, ერთი კგ I ხარისხის ფქვილისა — 30 კაპიკი, ერთი კგ I ხარისხის მაკარონისა — 40 კაპიკი, ერთი კგ რაფინადი შაქრისა — 104 კაპიკი, ერთი კგ. I ხარისხის ძროხის ხორცისა — 2 მანეთი, ერთი კგ უმაღლესი ხარისხის კარაქისა — 3 მანეთი და 60 კაპიკი, ერთი კგ ახლადგაყინული I ხარისხის თევზისა — 60 კაპიკი, ერთი კგ დაფქვილი მარილისა — 10 კაპიკი.

1992 წლის 12 დეკემბერს თბილისის ცენტრალურ ბაზარში ერთი კგ ძროხის ხორცი იყიდებოდა :280-300 მანეთად, ერთი კგ ყველი 600-900 მანეთად, ერთი კგ მზესუმზირას ზეთი — 280 მანეთად, ერთი კგ შაქარი (ფხვნილი) — 200-220 მანეთად, ერთი კგ კარტოფილი — 60-70 მანეთად, ერთი კგ კომბოსტო — 20 მანეთად, ერთი კგ ვაშლი — 30-60 მანეთად და ა. შ.

საერთო ჯამში მოხმარების საგნებზე და მომსახურებაზე ფასები 1992 წლის დეკემბერში 80-იან წლებთან შედარებით დაახლოებით 100-ჯერ გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი 100 მანეთი თავისი მსყიდველობითი უნარით 80-იანი წლების მანეთს გაუტოლდა.

1992 წლის ნოემბერში მინიმალური ხელფასი 1990 წელთან შედარებით გაიზარდა 24,3-ჯერ, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი — 20-ჯერ და მეტად. ამავე პერიოდში საცალო ფასები საქონელზე და მომსახურებაზე გაიზარდა დაახლოებით 100-ჯერ. ნომინალური ხელფასის ზრდას თან ახლდა რეალური ხელფასის შემცირება. 1991-92 წლებში წარმოების მოცულობის და ეროვნული შემოსავლის მკვეთრ შემცირებას მოჰყვა იმავე ტემპით მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება.

მინიმალური ხელფასი 1700 მანეთი დოლარზე გადაყვანით დაახლოებით 4 დოლარს უტოლდება. ადამიანს, რომელიც მინიმალურ ხელფასს 1700 მანეთს ღებულობს, შეუძლია იყიდოს: პური ერთი თვის ნორმა (450 მანეთი), ერთი კგ კარაქი (600 მანეთი), ერთი კგ ხორცი (250 მანეთი), ერთი კგ შაქარი (200 მანეთი), 4 კგ კარტოფილი (200 მანეთი), ან 2 კგ უმაღლესი ხარისხის ყველი, ან 2,5 კგ კარაქი, ან 10 ლიტრი ბენზინი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სუსტად განვითარებული აზიისა და აფრიკის ქვეყნებისათვის საარსებო მინიმუმის ზღვრად დადგენილია 1000 დოლარი წელიწადში. თუ ამ თანხას მანეთებში გადავიყვანთ (საბაზრო კურსის მიხედვით), იგი 450 ათას მანეთზე მეტი იქნება.

საქართველოში 1990 წელს მუშა-მოსამსახურეები კვების პროდუქტების შეძენაზე ხარჯავდნენ თავიანთი შემოსავლის 43,2. პროცენტს, ამჟამად კი 70 პროცენტს და მეტს. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ კვების პროდუქტების შესაძენად აშშ-ში ხარჯავენ თავიანთი შემოსავლის 10 პროცენტს, კანადაში — 12, დიდ ბრიტანეთში — 13, ჰოლანდიაში — 14.5, იაპონიაში, ავსტრალიაში, დანიაში, ისლანდიაში — 15, საფრანგეთში — 16, გფრ-ში, ბელგიაში, ფინეთში, ახალ ზელანდიაში — 17, ნორვეგიაში —18,5 პროცენტს.

1990 წელს საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა სატრანსპორტო ხარჯები შეადგენდა მათი საერთო შემოსავლის 5 პროცენტს, ამჟამად კი — 20 პროცენტს და მეტს, ანალოგიური მაჩვენებელი იაპონიაში 10 პროცენტია, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში — 11, ირლანდიაში, ისრაელში — 12, იტალიაში, საბერძნეთში — 13, აშშ-ში, ავსტრალიაში — 13,5 პროცენტი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქართველოში სატრანსპორტო მომსახურებაში ჭარბობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ხოლო საზღვარგარეთის ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში — საკუთარი (კერძო) ტრანსპორტი. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენში და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული ხელფასის დონეებსაც, ნათელი გახდება ჩვენი მოსახლეობის უსაღრუკი მდგომარეობა.

ამჟამად მუშა-მოსამსახურეები მთელი თავიანთი შემოსავლის ძირითად ნაწილს ახმარენ კვების პროდუქტების შეძენას, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და ტრანსპორტით მგზავრობისათვის გადასახდელების გადახდას. მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს არასასურსათო საქონლის შესაძენად თანხები არ გააჩნია. საზოგადოების უდიდესი ნაწილი სოციალურად დაუცველია.

სახელმწიფო გადაწყვეტას მოითხოვს სახელმწიფო შემნახველ ბანკში მოსახლეობის ფართო ფენების შრომითი ანაბრების საკითხიც. 1990 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბანკის დაწესებულებებში ანაბართა რიცხვი შეადგენდა 3381 ათასს, ანაბრების თანხა — 8063 მილიონ მანეთს, ხოლო ანაბრების საშუალო ოდენობა — შეადგენდა 2385 მანეთს. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის ეს შრომითი დანაზოგი ფასების ასტრონომიული ტემპებით ზრდის და ფულის გაუფასურების შედეგად არარაობად იქცა. სახელმწიფოს, თუ ის მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე დგას, არ აქვს არავითარი უფლება მოსახლეობის შრომითი დანაზოგის წართმევა-გაუქმებისა. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ შრომით დანაზოგზე, რომელიც მოსახლეობას ანაბარზე ჰქონდა 1991 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, მოხდეს მისი ინდექსაცია იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც ფასები გაიზარდა საქონელსა და მომსახურეობაზე.

საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის პერიოდი მოსახლეობისათვის, ბუნებრივია, მტკივნეული, მძიმე იქნება, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული რეფორმების განხორციელების, სწორი მართვისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პირობებში იგი ნაკლებ მტკივნეული უნდა იყოს.

დღეს საქართველოში არ არსებობს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის პროგრამა და მისი განხორციელების მექანიზმი. იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება, საერთო არაფერი აქვს საბაზრო მეურნეობასთან. ვაჭრობის და ფასების ლიბერალიზაციას წინ უნდა უძღოდეს წარმოების საშუალებათა საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაცია და თავისუფალი მეწარმეობა.

ამჟამად მოქმედი ფასებისა და ცხოვრების დონის შესაბამისად აუცილებელია ხელფასის რამდენჯერმე გადიდება. ფასების ინდექსაციის კვალობაზე უნდა იზრდებოდეს ხელფასი და სხვა შემოსავლები. მინიმალური ხელფასი უნდა უზრუნველყოფდეს მუშაკს საარსებო საშუალებათა ისეთი რაოდენობით, რომელიც აუცილებელია მისი ცხოვრებისა და სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის. ამიტომ აუცილებელია მინიმალური ხელფასი ამ ეტაპზე მინიმუმ ხუთი ათას მანეთამდე მაინც გაიზარდოს.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი ბესიკ ზუბაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური თემა

ეროვნული უმცირესობები —ჩვენი საიმედო თანამემამულენი

ვლადიმერ მერკვილაძე

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 51 სახელმწიფოს მეთაურების მიერ 1992 წლის 10 ივლისს ჰელსინკში მიღებული გადაწყვეტილებანი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტებია კონტინენტის ყველა ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსათვისაც, რომელმაც სწორედ აქ, ჰელსინკში აღიდგინა ისტორიული ბედუკუღმართობით ევროპასთან შეწყვეტილი კავშირურთიერთობა.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას. ამისათვის მიზანშეწონილად ცნო მათი საქმეების წარმოების და კონტროლის სპეციალური ორგანოების შექმნა, თვით უმაღლესი კომისრის თანამდებობის შემოღებაც.

საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფისათვის ამ თათბირის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობის შესახებ მკითხველს ვთავაზობთ მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვლადიმერ მერკვილაძის სტატიას.

ჰელსინკის თათბირის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო ვალდებულებათა ფონზე დარღვევები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს შეეხება, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების მშვიდობიან განვითარებას. თათბირმა აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიას არ ახსოვს ამდენი მსხვერპლი და ადამიანთა, მათ შორის უამრავ ლტოლვილთა, ტანჯვა-ვაება. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებულმა ზარალმა და მატერიალურ ფასეულობათა განადგურებამ შემაძრწუნებელ მასშტაბს მიაღწია.

და ყველაფერ ამას ადგილი ჰქონდა და აქვს უმთავრესად ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ვერც კი მოასწრო დაშლა საბჭოთა კავშირმა, რომ მის რესპუბლიკებში იფეთქა სისხლიანმა კონფლიქტებმა, რომელთა წინა ხაზზე ეროვნული უმცირესობანი აღმოჩნდნენ.

ბოლო ათწლეულებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა პროცესებმა მთელ რიგ რეგიონებში მნიშვნელოვნად შეცვალეს მკვიდრი და მიგრანტი მოსახლეობის რიცხობრივი თანაფარდობა, გამოიწვიეს შიში მკვიდრი ერის თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის. სხვა ადგილებში კი, სადაც დიდი იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატება, გაჩნდა სამუშაო ადგილების დეფიციტი, რაც ხელს უწყობდა ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავებას. არადა, ეროვნებათა დაახლოებისა და შერწყმის ყბადაღებული ლოზუნგით ყურადღების მიღმა რჩებოდა მომწიფებული ეროვნული პრობლემების გადაჭრა.

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო საზოგადოებრივ შეგნებაში წინა პლანზე წამოიწია ხალხთა ეროვნული თვითშეგნების ინტერესებმა. დღეს ყოველ ეროვნებას და ეთნიკურ ჯგუფს, რაოდენ მცირერიცხოვანიც უნდა იყოს და სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, სურს იცოდეს თავისი გენეალოგია, მისი აწმყო და განვითარების პერსპექტივები. ეს ტენდენცია პროგრესულია ყოველი ქვეყნისათვის და თავისთავად იგი არ შეიძლება იყოს ეთნიკური კონფლიქტების უშუალო მიზეზი. მაგრამ მას შეუძლია გამოავლინოს ეროვნებათშორისი ურთიერთობაში დაშვებული შეცდომები და დეფორმაციები, ხელი შეუწყოს ეთნოკრიზისების წარმოშობასა და მათს გაღრმავებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მასობრივი კომუნიკაციების განვითარება კი არ ხსნის ეთნიკურ სხვაობებს, არამედ სტიმულს აძლევს მათ კიდევ უფრო გაცნობიერებას. ხელს უწყობს მრავალფეროვნების გაფართოებას. ქვეყნები, ხალხები, ადამიანები უახლოვდებიან ერთმანეთს და ამავე დროს უფრო მეტად აღიქვამენ თავიანთ ინდივიდუალობასა და ერთმანეთისაგან განსხვავებულობას. ეროვნული თვითშეგნების ასეთი სწრაფი ზრდა თანამედროვე მსოფლიო განვითარების ობიექტური პროცესი გახდა.

უკანასკნელ ათწლეულებში ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა კაცობრიობის ეთნიკური შემადგენლობა. დღევანდელი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში აღარ სახლობს მხოლოდ ერთადერთი, „წმინდა სისხლის" ერი. ერთგვაროვანი ეროვნული შემადგენლობის სახელმწიფოები დიდი ხანია გახდნენ ეროვნულად შერეული ქვეყნები.

მსოფლიოს სილამაზე და მისი მშვენიერება სწორედ ის არის, რომ იგი მრავალფეროვანი, მრავალენოვანი და მრავალსახიანია. თითოეული ეროვნების კულტურა, მისი პროგრესული ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი პლანეტის ყველა ხალხის კუთვნილებაა. ამიტომ თვით ყველაზე მცირერიცხოვანი ეროვნების დიდ ერთან შერწყმა და მისი გაქრობა ყოველთვის იყო და იქნება საგრძნობი დანაკლისი მთელი კაცობრიობისათვის, ძვირფასი თვლების ამოვარდნა მისი ერთიანი და ამავე დროს მრავალფეროვანი მოზაიკიდან. ცხოვრების დონე, ადამიანთა შრომითი დასაქმება, ოჯახი, ჯანმრთელობა, ბავშვების მომავალი და სხვა პრობლემები ხშირად ხდება ეთნიკურ ფონზე და იღებს შესაბამის ელფერს. საერთოდ კი, ეთნიკური თავისებურებანი დიდხანს გაჰყვება მსოფლიოს, თითოეულ ქვეყანას. მათი არსება ყოველთვის ცვალებადი იქნება, რაც მოითხოვს მოვლენების სწორ ანალიზს და წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზების ძიებას.

ეროვნებათშორის ურთიერთობაში დღეს განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნულ უმცირესობათა პრობლემას. საქმე ეხება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფას, მათი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსის დადგენას.

ეროვნულ უმცირესობათა გაჩენა ყოველთვის იყო განპირობებული სხვადასხვა მიზეზით. სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით, უმთავრესად კი შრომისუნარიანი მოსახლეობის სხვა რეგიონში ან უცხო ქვეყნებში მიგრაციით. სწორედ მიგრაციული და დემოგრაფიული პროცესების შედეგად ეთნიკურად ერთგვაროვან გარემოში ჩნდებოდნენ და ჩნდებიან ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც დროთა ვითარებაში ინტეგრირებულნი ხდებიან მკვიდრ მოსახლეობასთან, ებმებიან მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისინი ცხოვრობენ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფარგლებს გარეთ ან საერთოდ არ გააჩნიათ ასეთი, მაგრამ ინარჩუნებენ თავიანთ ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ თვითმყოფობას. ამ პროცესმა დღეს მსოფლიო ხასიათი მიიღო და იგი თანამედროვე ცხოვრების ნორმა გახდა. ამიტომ ეს პრობლემა მოითხოვს ყოველმხრივ შესწავლასა და გაცნობიერებას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო უფლებები იმ 55 მილიონი ადამიანისა, რომლებიც განეკუთვნებოდნენ ეროვნულ უმცირესობებს. ვერც კონსტიტუციაში, ვერც სხვა საკანონმდებლო აქტებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში ვერ ვხვდებით ეროვნულ უმცირესობათა არათუ სტატუსის განსაზღვრის რაიმე ცდას, არამედ მათს დეფინიციასაც.

მოსახლეობის 1989 წლის აღწერით თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის სხვა რეგიონებში ცხოვრობდა 25 მილიონზე მეტი რუსი, 7 მილიონამდე უკრაინელი, 2 მილიონზე მეტი ბელორუსი, 2,5 მილიონი უზბეკი, 1,6 მილიონი ტაჯიკი და სხვა. გარდა ამისა, სხვადასხვა რესპუბლიკაში სახლობენ გერმანელები, პოლონელები, კორეელები და ათობით სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებსაც აქ არა აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრიობა. ცალკეულ რესპუბლიკებში ეროვნული უმცირესობანი შეადგენენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო ზოგჯერ რიცხობრივად კიდევაც სჭარბობენ მკვიდრ მოსახლეობას.

იმავე აღწერით საქართველოში მკვიდრი მოსახლეობა შეადგენდა 3883246 კაცს ანუ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 71.9 პროცენტს, მათ შორის ქართველები — 3787393 კაცს ანუ 70.1 პროცენტს, ხოლო აფხაზები — 95853 კაცს ანუ 1.8 პროცენტს. დანარჩენი მოსახლეობის საერთო რაოდენობა უდრიდა 1517375 კაცს ანუ 28,1 პროცენტს. აქედან სომხები შეადგენდნენ 437211 კაცს (8,1), რუსები — 341172 (6.3), აზერბაიჯანელები —307556 (5,7), ოსები — 164055 (3,0), ბერძნები — 100324 (1.9), უკრაინელები — 52443 (1.0), ქურთები — 33331 (0,6), ებრაელები— 24795 (0.5 პროცენტს), ხოლო დანარჩენები — მოსახლეობის ერთ პროცენტს.

როგორც გამოცდილება მოწმობს, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებს შეუძლიათ გაართულონ და გაამწვავონ მდგომარეობა არა მარტო ცალკეული ქვეყნების შიგნით, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც, და, პირიქით, — გახდნენ მაკოორდინირებელი რგოლები და ამით ხელი შეუწყონ ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთთანამშრომლობას.

გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომებსა და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე ბევრჯერ აღინიშნა ეროვნულ უმცირესობათა პრობლემის აქტუალობა, მაგრამ ამავე დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი შეიძლება არაერთნაირად იქნეს გაცნობიერებული არა მარტო ცალკეულ კონტინენტებზე, არამედ თვით ერთი ქვეყნის ფარგლებშიც. ამიტომ ეროვნულ უმცირესობათა ზოგადი ცნების შემუშავება მთლიანად ყველა ქვეყნისათვის არ ხერხდება, რადგან პლანეტის სხვადასხვა რეგიონში ამ პრობლემას სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ამის გამო ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაწესება, რაც სავალდებულო იქნებოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათათვის, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

ეროვნულ უმცირესობათა ერთიანი საყოველთაო ცნების უქონლობამ ხელი ვერ შეუშალა იმას, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე უწყვეტლივ გაზრდილიყო ყურადღება და ინტერესი ეროვნულ უმცირესობათა საერთო პრობლემებისადმი. ბევრი საერთაშორისო ფორუმის დოკუმენტებში, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მასალებსა და მეცნიერ-სპეციალისტთა ნაშრომებში დაყენებულია ეროვნულ უმცირესობათა სტატუსის აქტუალური საკითხები. მათ შორის მთავარია საყოველთაოდ აღიარებული დებულება, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები არის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შემადგენელი ნაწილი.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის, ვენის, კოპენჰაგენის თათბირების დოკუმენტებსა და პარიზის ქარტიაში გაცხადებულია, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფობა დაცული უნდა იქნეს, რომ საკითხები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს შეეხება, წყდებოდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით, დემოკრატიულ საწყისებზე. დოკუმენტებში აღიარებულია, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებანი სავსებით უნდა იყოს პატივცემული როგორც ადამიანის საყოველთაო უფლებათა ნაწილი, რომ ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველა ფორმის რასობრივ და ეთნიკურ სიძულვილს, ანტისემიტიზმს, ქსენოფობიას და დისკრიმინაციას, ვის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული, აგრეთვე რელიგიური და იდეოლოგიური მოტივებით დევნას.

ჰელსინკის პრინციპების მნიშვნელობა საქართველოსათვის განსაკუთრებულია იმითაც, რომ ცხინვალის კონფლიქტის მოგვარების პროცესი დაიწყო სწორედ იქ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად და მათთან მისადაგებით, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება დემოკრატიული განვითარების, სუვერენიტეტის დაცვის, ტერიტორიისა და საზღვრების ურღვევობის გარანტიების გზაზე.

ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო მიზნით საქართველოს, რუსეთის და ოსეთის შეზღუდული სამხედრო ფორმირებათა ყოფნამ ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყნებს შორის ახალი ტიპის ურთიერთობათა მშენებლობას, ქართველთა და ოსთა ტრადიციული მეგობრობის აღდგენას. სწორედ ეს მოდელი გამოიყენეს მოლდოვეთშიც ცეცხლის შესაწყვეტად და მშვიდობის დასამყარებლად. დღეს უკვე საერთაშორისო ასპარეზზე ხშირად მიუთითებენ კონფლიქტის მოგვარების ქართულ ვარიანტზე.

ცხინვალის ეთნიკური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ამავე დროს შეიძლებოდა გამხდარიყო პირველი მაგალითი ჰელსინკის გადაწყვეტილებით შექმნილი ეროვნულ უმცირესობათა საქმეების სპეციალური ორგანოებისა და თვით უზენაესი კომისრის საქმიანობაში, რომელთა უპირველესი მოვალეობაა ხელი შეუწყონ ადამიანთა კონტაქტების დამყარებას, ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის დაძლევას, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგებას, სახელმწიფოებისა და ხალხების კეთილმეზობლობას.

1992 წლის 25 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე გამოსვლისას ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დააყენა საკითხი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისათვის შექმნილი ინსტიტუტებისა და თვით უზენაესი კომისრის უფლებამოსილებათა გაფართოების შესახებ. მან აუცილებლად მიიჩნია, რომ უახლოეს მომავალში გაერომ მიიღოს ეროვნული უმცირესობების უფლებათა დეკლარაცია, რომელიც გარკვეულ პასუხისმგებლობას დააკისრებს თვით უმცირესობებსაც, რათა მათ თავიანთი განსახლების ტერიტორიაზე უზრუნველყონ მშვიდობა და სტაბილურობა.

საქართველომ დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნა გაეროში მისი მიღება, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობამ კეთილი ნების გამოხატულებად მიიჩნია. ამ ღირსმნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილ მანიფესტში რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ ჩამოაყალიბა გაბედული ერის გამთლიანების, შერიგებისა და მიმტევებლობის ისეთი პრინციპები, რომლებიც უპრეცედენტოა მსოფლიო პრაქტიკაში.

და რაოდენ სამწუხარო და სამარცხვინოა, რომ ჩვენში გამოჩნდნენ სეპარატისტული და დესტრუქციული ძალები, რომლებიც წინააღუდგნენ ამ ჰუმანურ აქტს და დაადგნენ ცივილიზებული საზოგადოებისათვის უკადრისი მეთოდებით ბრძოლის გზას. კვლავ გრძელდება თარეში შეიარაღებული ბანდებისა, რომლებიც გაუწყვეტლივ აფეთქებენ ხიდებს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებზე, ძარცვავენ მოძრავ შემადგენლობას, იტაცებენ ადამიანებს, მიმართავენ პოლიტიკური ტერორიზმის ყველაზე უხეშ ხერხებს, ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უფლებების დაცვის ელემენტარულ საერთაშორისო ნორმებს, ყველაფერს აკეთებენ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებისა და მისი დამოუკიდებლობის დაკარგვისათვის.

ამასთან ერთად, ხელიდან გვეცლება ჩვენი ხალხის ყველა თაობის მიერ დიდი რუდუნებით, მუხლჩაუხრელი შრომითა და გარჯით შექმნილი მსოფლიოში აღიარებული სახელოვანი ტრადიციები, ამაღლებული ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალები, იცრიცება და ფერმკრთალდება ერის გმირული ისტორიის ფურცლები. ხსნა მხოლოდ თანხმობასა და ერის კონსოლიდაციაში, მის ერთიანობაში უნდა ვეძიოთ.

* * *

საქართველო ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხებზე საერთაშორისო ფორუმების გადაწყვეტილებებს. მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ ხელისუფლება კვლავაც იზრუნებს აქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ქართველთა მხარდამხარ ყოველთვის ერთგულად იბრძოდნენ და ამ განსაცდელის ჟამსაც თავდადებით იბრძვიან აქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები.

თავის წინასაარჩევნო სიტყვაში 1992 წლის 9 ოქტომბერს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო კისრულობს პასუხისმგებლობას ქართველების თანაბრად დაიცვას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის, ყველა ეროვნების მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები, პატივისცემით მოეკიდოს თითოეული მათგანის ენას, კულტურას, ეროვნულ ტრადიციებს, თავისუფლებებს, რელიგიას. ამის ერთ-ერთი გარანტი იქნება გაეროს მუდმივი წარმომადგენლობის გახსნა თბილისში, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების სამართლიანი მოწესრიგების საქმეში.

ამასთან ერთად, ეროვნულ უმცირესობებს ეკისრებათ გარკვეული მოვალეობებიც. ისინი ვალდებულნი არიან პატივისცემით მოეკიდონ მკვიდრ მოსახლეობას, სხვა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, საერთოდ ქვეყნის კანონმდებლობასა და ზნეობრივ ნორმებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ისინი, ისევე როგორც მკვიდრი მოსახლეობა, დაინტერესებულნი უნდა იყვნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების ურღვევობის დაცვით.

საქართველოში მოსახლე ყველა ეროვნების წარმომადგენელმა უნდა გაიცნობიეროს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთი იყო და რჩება საქართველოს ტერიტორიის ორგანულ შემადგენელ ნაწილებად, სადაც ორი ისტორიულად მკვიდრი ერის — ქართველებისა და აფხაზების გვერდიგვერდ ცხოვრებას და მათს ტრადიციულ მეგობრობას სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ მოეპოვება. მათთან ერთად ქართულ მიწაზე თავისუფლად განავითარებენ თავიანთ ეკონომიკასა და კულტურას ოსები და სხვა ეროვნული უმცირესობანი. ამიტომ უპერსპექტივოა სეპარატისტული და სხვა დესტრუქციული ძალების მისწრაფება ეთნოკონფლიქტების ინსპირირებითა და გამწვავებით ზიანი მიაყენონ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ეროვნულ უმცირესობათა უფლება-მოვალეობებზე, მათს საერთაშორისო სტანდარტებსა და კულტურული ავტონომიის საკითხებზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა საერთაშორისო სამართლის ექსპერტმა ბატონმა მიხეილ საკაშვილმა („საქართველოს რესპუბლიკა", 30. 01; 17. 04. 92).

საქართველოს ახალი პარლამენტი თავის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად, ალბათ, მიიჩნევს ყოველმხრივ დამუშავებული და მოტივირებული კანონის მიღებას რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

ამასთან დაკავშირებით შეიძლებოდა გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომპაქტურად განსახლების რეგიონებში მათ მინიჭებოდათ კულტურული ავტონომიის უფლებები, შექმნილიყო ეროვნული საბჭოები, სექციები, საკუთარი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომლებსაც შეეძლებოდათ ეძებნათ ნებაყოფლობითი ფინანსური და სხვა დახმარება, აგრეთვე სახელმწიფო მხარდაჭერა კანონმდებლობის შესაბამისად.

ყოველმხრივ უნდა წახალისდეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სურვილი დაამყარონ უშუალო კონტაქტები რესპუბლიკის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ სხვა სახელმწიფოების იმ მოქალაქეებთან, რომლებთანაც აკავშირებთ საერთო ეროვნული წარმომავლობა, კულტურული მემკვიდრეობა და რელიგიური რწმენა.

კულტურული ავტონომიის მინიჭებით, როგორც ამის შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა ბატონი რომან მიმინოშვილი („საქართველოს რესპუბლიკა", 6. 08. 92), ჩვენ შესაძლებლობას მივცემდით ეთნიკურ ჯგუფებს ყოფილიყვნენ თვით ქართული კულტურის აქტიური მონაწილენიც. ამით კი მართლაც რომ დავიმეგობრებდით თვით იმ სახელმწიფოებს და იმ ერებს, რომელთა ნაწილი ჩვენი მოქალაქენი არიან.

მაგრამ რა გავაკეთოთ მათთვის, რომლებიც პატარა ჯგუფებად ან ცალკე ოჯახებად ცხოვრობენ სხვა ეროვნების მოსახლეობის გარემოში? ამ გაფანტულად განსახლებულთათვის მიზანშეწონილი იქნებოდა შექმნილიყო სათვისტომოები და საზოგადოებები. თავის დროზე ასე ერთიანდებოდნენ პოლონელები გერმანიაში, რუსები საფრანგეთში, ქართველები პეტროგრადსა და მოსკოვში, ლიტველები აშშ-ში. ისინი ქმნიდნენ კლუბებს, ბიბლიოთეკებს, მოყვარულთა თეატრებს. სათვისტომოები და საზოგადოებები ის არაოფიციალური ორგანოებია, რომელთაც შეუძლიათ შეუმსუბუქონ ცალკეულ ადამიანებს უცხო გარემოში ან ახალ ადგილზე ცხოვრება.

დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებამ თვითონ უნდა შეიმუშაოს სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დამყარებული ეროვნებათშორისი ურთიერთობის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ერთიანობას და ნამდვილ მეგობრობას.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნული უმცირესობები ქართველი ერის საიმედო და ერთგული თანამემამულენი გახდნენ.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

● **ხშირად სასწრაფოდ გვჭირდება ნაცნობის ტელეფონის ნომერი, ვრეკავთ თბილისის სატელეფონო კვანძის ცნობათა ბიუროში — „09"-ზე, მაგრამ დაკავშირება ძნელია. ხოლო საბინაო ტელეფონების სიის წიგნი ძველი გამოცემაა და მასში ახალი ნომრები არ არის შესული. იქნებ გვიპასუხოთ, როდის გამოვა თბილისის მოქალაქეთა საბინაო ტელეფონების განახლებული ცნობარი?**

მანანა დევდარიანი.
ექიმი.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში დავრეკეთ, ვესაუბრეთ გამოთვლითი ცენტრის დირექტორს ბატონ გურამ სიხარულიძეს. მან გვიპასუხა, რომ თბილისის სატელეფონო კვანძის აბონენტთა სია ბოლო დროს 1982 წელს გამოვიდა, ისიც რუსულ ენაზე. მის შემდეგ, მოგეხსენებათ, რამდენი ახალი სატელეფონო კვანძი შევიდა ექსპლოატაციაში, შეიცვალა მრავალი სატელეფონო ნომერი, ან პირველი ორი ციფრი და ა. შ. გადაწყდა ახალი წიგნის გამოცემა ქართულ ენაზე, რომელშიც შევა თბილისის სატელეფონო კვანძის აბონენტთა ახალი სია. თუ წინა წიგნი შეიცავდა 90.000 აბონენტის სიას, ახალში შევა ორჯერ მეტი — 180.000-190.000 აბონენტი.

გამოცემაზე ჩვენთან ერთად მუშაობენ ქალაქის სატელეფონო ქსელის მუშაკები. გამომცემელია საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმო. ახალ წიგნს თბილისელები 1993 წლის პირველ ნახევარში მიიღებენ.

● **რატომ იყიდება სახელმწიფო „ქართული ჩაი" კომერციულ მაღაზიებში?**

ნანა ბენდელიანი,
ნაზი ჯულელი.

გვიპასუხებს ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორის მოადგილე დავით გიორგაძე.

მოგეხსენებათ, ნედლეულს ჩაის საწონ ფაბრიკას დასავლეთ საქართველოს რაიონები აწვდიან, მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო წლეულს აფხაზეთიდან და სამეგრელოდან პროდუქციის მიწოდება თითქმის მთლიანად შეწყდა. ჩაის წარმოება 80 პროცენტით შემცირდა და დღესდღეობით ოციათასი ტონის ნაცვლად, მხოლოდ ოთხი ათას ტონას ვუშვებთ. შეფუთულ და ლამაზად გაფორმებულ „ქართულ ჩაის" მომხმარებელი სწორედ ჩვენგან იღებს.

ამჟამად სამთავრობათაშორისო მოლაპარაკების საფუძველზე ფაბრიკა ძირითადად სახელმწიფო დავალებებს ასრულებს. რესპუბლიკათაშორის საქონლის ურთიერთგაცვლის ნიადაგზე რესპუბლიკისათვის ენერგეტიკული რესურსების და საკვები პროდუქტების მოწოდების გამო „ქართული ჩაი" გაგვაქვს თურქმენეთში, ყირგიზეთში, სომხეთში, მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში.

მოქალაქეებს აინტერესებს, რატომ იყიდება სახელმწიფო ჩაი კომერციულ მაღაზიებში? ამის შესახებ გაცნობებთ.

არსებობს სახელმწიფო კომერციული სტრუქტურები, რის საფუძველზეც მათ ჩაის პროდუქცია შეისყიდეს. კომერციული მაღაზიები სახელმწიფო ლიცენზირების საფუძველზე მეზობელ რესპუბლიკებთან საქონლის ურთიერთგაცვლას აწარმოებენ, მაგრამ ტრანსპორტის კრიზისისა და ბენზინის უქონლობის გამო მათ რეალიზაცია საზღვრებს გარეთ ვეღარ მოახერხეს, და იძულებული გახდნენ შეძენილი პროდუქცია ადგილზე, კომერციულ მაღაზიებში გაეყიდათ.

● **მაღაზიის ცარიელი დახლები დღეს აღარავის უკვირს, მაგრამ ფეხსაცმლის უქონლობა ნამდვილად ძალზე გვაწუხებს. გვაინტერესებს, მივიღებთ თუ არა თუნდაც ფაბრიკა „ისნის" ნაწარმს?**

რუსლან ჯირკველიშვილი
გორის რაიონი.

გვიპასუხებს ფაბრიკა „ისნის" დირექტორი ავთანდილ ჯანაშია.

— რა გითხრათ. ჭირს ცხოვრება. — გვიჭირს ჩვენც...

ფაბრიკა „ისანი" ძველი დატვირთვით ვეღარ მუშაობს. ძალზე შემცირდა წარმოება. მასალისა და ნედლეულის თითქმის 92 პროცენტი რუსეთიდან შემოდიოდა. საცხებსა და ქიმიურ პროდუქციას კი ძირითადად უცხოეთიდან ვიღებდით. რკინიგზის ბლოკადამ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა, რასაც დიდი ზარალი მოჰყვა, ამას ელექტროენერგიის კრიზისიც დაერთო, შეჩერებულთა საბანკო ოპერაციებიც, ყოველივე ეს კი ერთობ დიდ პრობლემებს გვიქმნის. აქედან გამომდინარე, ფაბრიკა „ისანი" დღესდღეობით მხოლოდ 30-40 პროცენტი დატვირთვით მუშაობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ფაბრიკის ნაწარმი მაღაზიებში არ იყოს. რაც გვაქვს, ჩვენ მათ შეძლებისდაგვარად ვაწვდით. მხოლოდ ერთია გასათვალისწინებელი. თუ სავაჭრო ორგანიზაციები საჭირო თანხას დროულად არ გადმოგვირიცხავენ, ისინი ჩვენს საქონელს ვერ მიიღებენ. ასეთია ბარტერული სავაჭრო ურთიერთობის კანონი.

მომავალში მუშაობა ალბათ უფრო გაუმჯობესდება. წელში გავიმართებით. ხარისხს გავაუმჯობესებთ და ჩვენი პროდუქციით მომხმარებელი უფრო კმაყოფილი დარჩება.

ცხონება

არქიპო ლაბახუა

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დამსახურებული ინჟინერი **არქიპო მირონის ძე ლაბახუა.**

არქიპო ლაბახუა დაიბადა 1910 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკაში მშრომელი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ქ. თბილისში, 1936 წელს დაამთავრა მოსკოვის სამთო ინსტიტუტი (ქვანახშირის განყოფილება) და დაიწყო შრომითი საქმიანობა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის შახტებში. ახალგაზრდა სპეციალისტმა მალე გამოიჩინა თავი და დაწინაურებულ იქნა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იყო ტრესტის მთავარი ინჟინერი, მმართველი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1957 წელს ა. ლაბახუა დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ამ თანამდებობაზე მუშაობის თითქმის 20 წლის მანძილზე იგი დაუშურველად ახმარდა თავის ძალასა და ენერგიას, ორგანიზატორულ ნიჭს, მდიდარ გამოცდილებას რესპუბლიკაში მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა დარგების განვითარებას. სხვადასხვა წლებში არჩეული იყო საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

რესპუბლიკის საზოგადოებრიობას გამოაკლდა ღირსეული მამულიშვილი, ჩინებული მოქალაქე, პატრიოტი, ერუდირებული, საქმის ერთგული, უაღრესად გულისხმიერი, თავმდაბალი, კეთილი ადამიანი. მისი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

ე. შევარდნაძე, თ. სიგუა, ვ. გოგუაძე, ზ. კერვალიშვილი, თ. ნადარეიშვილი, ლ. მარშანია, გ. მირიანაშვილი, შ. ინალ-იფა, კ. კიზირია, ნ. რუხაძე, კ. სალია, ვ. ლვინჯილია, ა. ჩხეტია, ი. ხარატიშვილი, ი. ხელაშვილი, ი. ჟანბა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

შეხვედრები ჟენევაში

ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ტერიტორიული გამიჯვნის საკითხები იყო ძირითადი თემა კვირას აქ გამართული დაპირისპირებული მეომარი მხარეების ხელმძღვანელების — რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ალია იზეტბეგოვიჩის, სერბთა ლიდერის რადოვან კარაჯიჩის და ხორვატთა ლიდერის მატე ბობანის ორმხრივი შეხვედრების დროს. აღნიშნავენ, რომ მიღწეულია გარკვეული პროგრესი მოწესრიგების გზაზე — მხარეები შეთანხმდნენ განაგრძონ დისკუსია მშვიდობიანი გეგმის საფუძველზე, რომელიც 2 იანვარს წამოაყენეს ყოფილი იუგოსლავიის კონფერენციის საკოორდინაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეებმა საირუს ვენსმა (გაერო) და დეივიდ ოუენმა (ევროპის გაერთიანება).

ვითარება რთული და დაძაბულია

ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშეთში დროებითი ადმინისტრაციის ინფორმაციისა და პრესის განყოფილების ცნობით, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები, გაერთიანებული ძალების ნაწილები და ქვედანაყოფები მთლიანად აკონტროლებენ სიტუაციას რაიონში, მაგრამ ვითარება რთული და დაძაბული რჩება. ირღვევა საკომენდანტო საათი, ჩადიან დანაშაულს, თავს ესხმიან სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს იარაღის წართმევის მიზნით. გრძელდება უგზო-უკვლოდ დაკარგული მოქალაქეების ძებნა.

ამერიკის პრეზიდენტის წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულმა ბილ კლინტონმა წერილი გამოუგზავნა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რომელშიც ადასტურებს თავის მისწრაფებას შეინარჩუნონ ახლო ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. ეს კვირას განაცხადა მომავალი პრეზიდენტის თეთრი სახლის აპარატის წარმომადგენელმა ჯეფრი კლერმა.

შეიქმნება პარლამენტი და ახალი არმია

ქაბულში სახალხო წარმომადგენელთა უფლებამოსილმა კრებამ (შურამ) გადაწყვიტა შექმნას ავღანეთის პარლამენტი და ახალი არმია. ქვეყანა უნდა ვითარდებოდეს ისლამური კანონების მკაცრი დაცვის ვითარებაში. სახელმწიფო დაწესებულებებში შეეძლებათ მუშაობა მხოლოდ ისლამის მიმდევრებს. იკრძალება ყველა არამუსულმანური ორგანიზაციის საქმიანობა.

ისრაელი ასი ათას იმიგრანტს მოელის

როგორც იერუსალიმიდან იუწყებიან, ებრაელთა სააგენტომ, რომელიც ისრაელში იმიგრაციის პრობლემაზე მუშაობს, გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ გაისად ისრაელში ჩავა ასი ათასზე მეტი კაცი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან.

წელს ისრაელში ჩავიდა 63.128 ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, 1989 წლიდან, როცა კრემლმა უფრო თავისუფალი გახადა ქვეყნიდან წასვლა, ისრაელს 409 ათასი ახალი მოქალაქე შეემატა ყოფილი სსრ კავშირიდან.

ინდური ჩაის წელიწადი

1993 წელი ინდოეთში „ინდური ჩაის წლად" არის გამოცხადებული. მას დასაბამს მისცემს ჩაის მწარმოებელთა სრულიად ინდოეთის შეხვედრა, რომელიც მალე გაიმართება დელში.

ინდოეთს განზრახული აქვს გაადიდოს ჩაის არა მარტო წარმოება, არამედ ექსპორტიც. ეს კი მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენ ინდურ ჩაის იყიდიან რუსეთი და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რომელთა წილად წინა წლებში მოდიოდა ექსპორტის ნახევარი. თანამეგობრობის ქვეყნებში ექსპორტის წახალისების მიზნით ინდოეთმა გადაწყვიტა მოსკოვში გახსნას თავისი საგანგებო ჩაის წარმომადგენლობა.

მსოფლიო ბაზარზე ინდოეთი აწყდება ჩაის მწარმოებელი სხვა ძლიერი ქვეყნების — შრი-ლანკის, კენიისა და ჩინეთის ძლიერ კონკურენციას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ინდოეთის წილი ჩაის მსოფლიო წარმოებაში საგრძნობლად შემცირდა, იგი მაინც რჩება ჩაის უდიდეს მწარმოებლად. მოსალოდნელია, რომ 1992 წელს ჩაის მოსავალი ინდოეთში დაახლოებით 700 ათას ტონას შეადგენს.

თითო აბზაცით

● **ესპანეთის** გაზეთი „ია" წერს: რუსეთის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებმა მოსკოვში ხელი მოაწერეს „საუკუნის დოკუმენტს", რომელიც საბოლოოდ ასამარებს „ცივ ომს" და ახალ იმედისმომცემ ფურცელს შლის ორი ზესახელმწიფოს სამხედრო თანასწორობის სფეროში.

● **ინგლისის** გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი" წერს: გუშინ მოსკოვში პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების მეორე ხელშეკრულებას და ამით გადაიდგა უფსკრულისპირიდან უკან ყველაზე დიდი ნაბიჯი, რომელთანაც კაცობრიობა გამაღლებულმა ბირთვულმა შეიარაღებამ მიიყვანა.

● **ჩინეთის** გაზეთი „ჟენმინჟიბაო" წერს: მოსკოვში შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესრულების მეორე ხელშეკრულების აზრი და მნიშვნელობა ჭეშმარიტად უდიდესია, როგორც ორივე სახელმწიფოსათვის, ასევე მთელი მსოფლიოსათვის.

● **ორშაბათს,** როგორც კენიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფიცი დასდო დანიელ არაპ მოიმ, იგი პრეზიდენტად აირჩიეს 29 დეკემბერს ქვეყნის ისტორიაში პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში.

საქართველოს ატლასი

საქართველოს
ატლასი

30 წელია, რაც არ გამოსულა საქართველოს ატლასი. და აი, ახლახან ქართულ ენაზე 50 ათასი ტირაჟით გამომცემლობა „განათლებამ" და თბილისის კარტოგრაფიულმა ფაბრიკამ დასტამბეს „საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი", — დამხმარე კარტოგრაფიული მასალა ჩვენი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის გაღრმავებული შესწავლისათვის.

საავტორო მაკეტები დამუშავდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, მის შედგენაში მონაწილეობდა ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივი. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ა. ასლანიკაშვილი, ვ. ჯაოშვილი, პროფესორები დ. უკლება, თ. კიკნაძე, დოცენტები: შ. ყიფიანი, ი. ქართველიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. თავდაპირველად შემუშავდა ამ კარტოგრაფიული ნაწარმოების შედგენის რამდენიმე ვარიანტი. ბოლოს შევჩერდით იმ შინაარსის რუკებზე, რომლებიც რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სკოლების საქართველოს გეოგრაფიის სასწავლო პროგრამებს შეესაბამება. ავტორთა მიერ შეგროვდა დიდძალი ფაქტობრივი მასალა, შედგა სხვადასხვა შინაარსის რუკათა მაკეტები. რესპუბლიკის მოსახლეობისა და მეურნეობის დარგების შესახებ მონაცემთა ბანკი ძირითადად 1988–1990 წლების მდგომარეობას ასახავს.

ატლასი სასწავლო-საინფორმაციო ხასიათისაა და საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის, ნაწილობრივ — ისტორიის შესახებ.

ახლა რუკებისა და ატლასების გამოცემა რამდენადმე გამარტივდა, ადრე ამ საქმეს უამრავი ბარიერი ეღობებოდა მკაცრი თემატიკური შეზღუდვისა და აშკარად ხელისშემშლელი პოლიტიკის გამო, ამ მიზეზით ვერ გამოსცეს გეოგრაფებმა დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი, აგრეთვე სხვა კარტოგრაფიული ნამუშევრები. იმედია, ამიერიდან ეს საქმე ოფიციალურ უწყებათა ხელშეწყობით წარიმართება.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე წარმოდგენილია თითქმის ყველა ბუნებრივი ლანდშაფტი (ტროპიკულის გამოკლებით). აქ ცხოვრობს 81 ეროვნების ხალხი. მეტად მრავალდარგოვანია მისი მეურნეობა. ამ და სხვა სპეციფიკური ნიშნებით მსოფლიოს 251 ქვეყანას შორის, შეიძლება ითქვას, საქართველოს მეტად თავისებური ადგილი უჭირავს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველ გეოგრაფთა აქტიურობის წყალობით ჯერ კიდევ 1984-1985 წლებში საქართველოს გეოგრაფიამ სასწავლო გეგმებში დამოუკიდებელი საგნის სტატუსი მიიღო, ჩვენი ქვეყნის კვლევისა და შესწავლის საქმეში ახალი პერსპექტივა დაისახა. ამიერიდან დაიწყო ქვეყნის ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის გაღრმავებული შეცნობის ეტაპი.

„საქართველოს ატლასი", რომელიც კოლექტიური შრომის შედეგია, დაგვეხმარება მშობლიური ქვეყნის მიწა-წყლის უკეთ შესწავლაში.

რომან კვერენჩხილაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, „საქართველოს ატლასის" პასუხისმგებელი რედაქტორი, პროფესორი.

ქართული მზე ვისკონსინში

გიორგი ლალიაშვილი

სტუდენტ მოყვარულთა თეატრი „მოდი ნახე", რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებობს, თავისი მნიშვნელობით კარგა ხანია გასცდა ამ უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებს და ერთ-ერთ საინტერესო კოლექტივად გვევლინება. მეტიც, მათი ხელოვნება გარკვეულ ფერსაც მატებს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებას.

თეატრ „მოდი ნახეს" შემოქმედებითი სახე 1975 წლიდან რეჟისორ ნუგზარ ბუცხრიკიძის ხელმძღვანელობით ყალიბდება, დღემდე იგია ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სტუდენტთა ხუთმა დასმა გაიარა „მის თეატრში".

თეატრი ბატონი ნუგზარის ხელმძღვანელობით ფართო ასპარეზზე გავიდა, ისინი თავიანთი ხელოვნებით წარსდგნენ გერმანელი და ამერიკელი მაყურებლის წინაშე, ორივეგან დადგა ნუგზარ ბუცხრიკიძემ სპექტაკლები: გერმანიაში ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს" (1988 წ.) და გეორგ ბიუხნერის „ლეონსი და ლენა", (1989 წ.), ამერიკაში ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს" ორ თეატრში. ეს ყველაფერი თანამეგობრობის საფუძველზე დაიბადა, რამოდენიმე წელია, ასეთი მეგობრული ხელშეკრულება არსებობს თეატრ „მოდი ნახეს", გერმანულ „სანტკორნთეატრსა" და ამერიკის ქალაქ რასინის (ვისკონსინის შტატი) თეატრალურ გილდიას შორის, რაც ითვალისწინებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ საუკეთესო სპექტაკლების გაცვლას, ასევე სადადგმო ჯგუფების მორიგეობით გაცვლა-გამოცვლას. ორივე თეატრი თბილისში ორორჯერაა ნამყოფი, გერმანელთა და ამერიკელთა სადადგმო ჯგუფებმაც დადგეს აქ პიესები.

1990 წელს ქ. რასინის თეატრალურ გილდიაში რეჟისორმა ნუგზარ ბუცხრიკიძემ ქართულ სადადგმო ჯგუფთან ერთად განახორციელა ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს", რომელმაც იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დამდგმელი ჯგუფი ვისკონსინის შტატის მეორე ქალაქის ვაკეშის კეროლ კოლეჯის თეატრალურ კომპანიაში მიიწვიეს ამავე ნაწარმოების დასადგმელად.

წლეულს სექტემბრის ბოლოს ჩავიდა ბატონი ნუგზარ ბუცხრიკიძე ქ. ვაკეშაში. მას უკვე მზად დახვდა მომავალი სპექტაკლის პროგრამა და აფიშა, თეატრის ჰოლში ნოდარ დუმბაძის პორტრეტი ეკიდა, აქვე მოეწყო საქართველოსადმი მიძღვნილი პატარა გამოფენა.

ქართველი რეჟისორის სპექტაკლში მონაწილეობის მსურველთათვის წინასწარ იყო გამოცხადებული კონკურსი, 150-ზე მეტმა მსურველმა გაიარა კონკურსი და ასე დაკომპლექტდა 30-კაციანი დასი, უმთავრესად პროფესიონალებით. სასიამოვნო ის იყო, რომ კონკურსში მონაწილეები უკვე კარგად იცნობდნენ ნაწარმოებს, აღტაცებით ჰყვებოდნენ ავტორისა და საერთოდ მისი შემოქმედების შესახებ, რომელმაც მათივე სიტყვით, სოციალიზმის ხანაში თავისი „მარადისობის კანონით" ეს წყობა გააკრიტიკა.

რეჟისორი დაესწრო პირველ ხუთ წარმოდგენას, ყოველი სპექტაკლის შემდეგ იმართებოდა შეხვედრები მაყურებელთან, ისინი სიამოვნებით რჩებოდნენ დარბაზში, იძლეოდნენ შეკითხვებს, დასთან იმართებოდა ძალზე გულახდილი საუბრები. გამორჩეული მოწონება ხვდა ხატიას როლის შემსრულებელ მსახიობს კიმ ლიპერტს. განსაკუთრებული აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ ქართველი კაცის კეთილ ბუნებაზე, კაცთმოყვარეობასა და სტუმართმოყვარეობაზე, იუმორზე.

ნუგზარ ბუცხრიკიძემ დაბრუნების შემდეგ ამერიკიდან არაერთი წერილი მიიღო, ქალბატონი ნანული დუმბაძის (ნოდარ დუმბაძის მეუღლე) სახელზეც მოვიდა მადლობის ბარათები — თბილისში ჩამოსვლის და კონტაქტების კიდევ უფრო გაღრმავების დიდი სურვილით.

— რომ არა ჩვენი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბატონ გოჩა ჩოგოვაძისა და სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის მამუკა კაციტაძის ქმედითი დახმარება, ძალიან გაჭირდებოდა სამკაციანი დამდგმელი ჯგუფის ჩასვლა ვისკონსინის შტატში — ამბობს ნუგზარ ბუცხრიკიძე, — ახლა გვინდა ხელახლა ვუთხრათ მათ მადლობა თეატრალური ხელოვნების ამგვარი დაფასებისათვის.

„მოდი ნახეში" ახალ სპექტაკლს ამზადებენ, თებერვალში მიიწვევენ მაყურებელს ავქსენტი ცაგარელის „ხანუმაზე", მთავარ როლზე საქართველოს სახალხო არტისტი, ქალბატონი ელენე ყიფშიძეა მიწვეული.

სტუდენტური თეატრი „მოდი ნახე" „ხანუმათი" ამერიკისა და გერმანიის რამოდენიმე ქალაქს ეწვევა. ბატონ ნუგზარ ბუცხრიკიძეს კვლავ ელიან ამერიკაში, ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკის დრამის თეატრში, სადაც ვადიმ კოროსტილიოვის „ფიროსმანის" დადგმას აპირებს. რეჟისორის ასისტენტი მარიამ ბედოშვილი ახლა იქ იმყოფება და მომავალი სპექტაკლის წინა სამუშაოებს აგვარებს.

ასე რომ, „მოდი ნახეს" შემოქმედებითი ცხოვრება უფრო და უფრო საინტერესო ხდება.

• • •



სურათზე: კეროლ კოლეჯის თეატრალური კომპანიის სპექტაკლის „მე ვხედავ მზეს" აფიშა.

ეს ჩვენი საქართველოა!

ზამთარი თბილისში

სიმონ კილაძის ფოტო.
ფოტოსააგენტო „დრო"

ცრემლი

დანაშაული არდაბრუნების

ვუძღვნი უცნობ გვარდიელს ვიტალი ტიელიძეს, რომელსაც დედისთვის დაუბარებია, მე აუცილებლად დავბრუნდებიო.

ვიტალი გაგრის მისადგომებთან ბრძოლებში დაიღუპა.

...ჭიშკარი გაიხურა და, მალე დავბრუნდებიო, დაიბარა. სამშობლოს დასაცავად მივდივარ და ცრემლებს ნუ დამანახებო, დედა. ფრჩხილებით ჩააფრინდა ჭიშკრის ძელს დედა, რომ არ წამოსდგომოდა ცრემლი, რომ დედის ღიმილი საგზლად გაეყოლებინა ბიჭისთვის.

ნაძვის ტოტებში ნიავი ოხრავდა, ზურგზე საველეჩანთამოგდებული ბიჭი უკანმოუხედავად მიდიოდა. მიდიოდა იმ გამოუცნობი საიდუმლოებით სავსე სამყაროში, რომელსაც შარაგზა ერქვა და ბიჭი ომში მიჰყავდა.

ნაძვის ტოტებში ნიავი ოხრავდა, ბიჭთან განშორებას დარდობდა და ცრემლდაღვრილი დედა ჭიშკრის ძელს ჩაფრენოდა.

ისევ ის ეზო და ისევ ის ჭიშკარი, ისევ ის შარაგზა. ლანდადქცეული დედა და გოგნება და სასოწარკვეთა თვალებში: — აკი დაიბარა, ნუ შეგეშინდება, მალე დავბრუნდებიო"...

ღამევ, კაცთა სიზმრების კიდობანო! დედას დაასიზმრე შვილი, ანახე მისი ბავშვობა, პატარა და ონავარი ბიჭის ჭოჭორი ააწეწვინე. გარდასულ დღეთა ყველა ბილიკი შემოატარე, დააბრუნე სახლში ბიჭი, ეზო აახმიანე...

ღამევ, კაცთა სიზმრების კიდობანო, დედას დაასიზმრე შვილი და დიდხანს, დიდხანს ნუ გამოაღვიძებ...

ცრემლები არ დამანახოო, სამშობლოს დასაცავად მივდივარო, ჭიშკარი გაიხურა, და მალე დავბრუნდებიო, დაიბარა...

მზია ბელენავა.

ცხონება

გიორგი მიროტაძე

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი გიორგი ლევანის ძე მიროტაძე.

გიორგი ერთი იმათგანი იყო, ვისაც სამშობლოსა და მეგობრების ერთგულებამ აალებინა ხელში იარაღი. ჩვენს გვერდით აღარ არის სიყვარულითა და სიკეთით სავსე თბილისელი ბიჭი, რომელმაც ღირსეული სიცოცხლით იცხოვრა და სახელოვანი სიკვდილით მოკვდა.

დიდი სოკრატე არზბას შვილიშვილმა თავისი სიკვდილით დაამტკიცა აფხაზთა და ქართველთა შორის ომის მთელი სისასტიკე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა; საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია; ქრისტიანული დემოკრატიული კავშირი; ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.

„გასაკეთებელი ოფთალმოლოგიაშიც ბევრი გვაქვს"...

ალექსიძეების საგვარეულომ ჩვენს საზოგადოებას არაერთი ნიჭიერი მკვლევარი მისცა. ამჯერად ალექსანდრე (საშა) ალექსიძეზე გესაუბრებით.

იგი მედიკოსების ოჯახში დაიბადა — მარტო მშობლები კი არ „დახვედრია" ექიმებად, არამედ ბებია-ბაბუაც (მამის მხრიდან). დედ-მამას, ქალბატონ ჯულიეტასა და ბატონ თამაზს, საფიქრებელია, არ ექნებოდათ ვაჟიშვილის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები (მშობელთა ეწვავე სატკივარი თუ საზრუნავი რომ გამხდარა ჩვენს დროში): ალექსანდრე ალექსიძემ — საშამ, როგორც ბავშვობიდან ეძახიან — ოქროს მედლით დაამთავრა 53-ე საშუალო სკოლა, ამასთანავე ფეხბურთისა და პინგ-პონგის" კარგად თამაშის „ფონზე" (მაგიდის ჩოგბურთში ოსტატობის კანდიდატიც გახდა), და ოჯახშვილობის შესაფერისად სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა.

ოკულისტი ქირურგის ძნელ გზას იგი სტუდენტობიდანვე შეუდგა, როცა მესამეკურსელმა ექთნად დაიწყო მუშაობა. ყოფილ შეროზის ქუჩაზე თვალის რესპუბლიკური საავადმყოფო იყო, რომლის სხვადასხვა განყოფილებებში საშა არ გარიდებია „შავ" სამუშაოს დამისთევიანი მორიგეობის ჩათვლით.

— წიგნები — წიგნებად, სწავლა — სწავლად, მაგრამ სტუდენტობისდროინდელი პრაქტიკა რომ არა, მე სპეციალისტი ვერ დავდგებოდი, — ამტკიცებს იგი. კარგს იზამენ, თუ ამ სიტყვებს ჩაუკვირდებიან ის სტუდენტები, ვინც ზერელედ, აგდებით ეკიდება სასწავლო პრაქტიკას, როგორ არადამაკმაყოფილებლადაც უნდა იყოს ახლა დაყენებული ეს საქმე ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში...

25 წლისა (ასპირანტობისას) საშა უკვე აკეთებდა ოპერაციებს და იმთავითვე გავიდა ვრცელ სპექტრზე: კატარაქტა ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით, „გლაუკომა, მიოპია (ახლომხედველობა), კერატოტომია (რქოვანას დასერვა), ბადურის ჩამოშლა, ტრავმისშემდგომი ჩარევები.

საკანდიდატო დისერტაცია მან 1984 წელს დაიცვა, სადოქტორო — 1989 წელს (დიდი სითბოთი იგონებს პირველ ხელმძღვანელს, ცნობილ პროფესორ თეიმურაზ ნათაძეს — საქართველოში პათოფიზიოლოგიური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ენციკლოპედიურად განსწავლულ, ნათელ პიროვნებას).

საშა ალექსიძის სადოქტორო ნაშრომს (გლაუკომის მკურნალობის თერაპიულ და ქირურგიულ მეთოდებს ეხება) რომ გავეცანი, ერთმა გარემოებამ გამაოცა. გლაუკომა ხომ თვალის უძველესი და უბოროტესი მტერია, არადა, მისი წამლობის ასპექტები ამ ახალგაზრდა მკვლევარამდე „ჩატოვებული" თუ „ღიად დარჩენილი" ყოფილა.

უფრო გასაკვირი კი ის არის, რომ სადოქტორო დისერტაცია საშამ მოათავსა კაპიტალური „ოფთალმოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის პარალელურად, რომელიც 1989 წელს გამოვიდა (ასე იქცა ეს თარიღი ერთობ მნიშვნელოვან ნიშანსვეტად მის ბიოგრაფიაში).

წიგნი იმდენად უნიკალური მოვლენაა ქართულ ლექსიკოგრაფიაში, რომ მასზე საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ.

ეს ექვსსაგვერდიანი ლექსიკონი ექვსენოვანია — ქართულ-რუსულ-ინგლისურ-ფრანგულ-გერმანულ-ლათინური; და აქ ჩვენ მივადექით საშა ალექსიძის კიდევ ერთ ინტელექტურ სიმდიდრეს — უცხო ენების ცოდნას. ეს არ გახლავთ ზერელე ცოდნა — მან საფუძვლიანად იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები (ლათინურის ფლობა პროფესიულად ევალება...); ახლა ამ სოლიდურ ნუსხას იტალიურიც მიუმატა და სხვათა შორის ლექსიკონის მეორე გამოცემაზე მუშაობს, სადაც ეს ენაც შევა და ამრიგად, შვიდენოვანი (!) გახდება.

აღიარება

საშა ალექსიძე მანამდე ორჯერ იყო ნამყოფი გერმანიაში, ერთხელ ინგლისში, მაგრამ იტალია სხვა გამოდგა: ეს ქვეყანა საშამ უკვე ხუთჯერ მოიარა, ბოლო ჩასვლისას 7 თვე თითქმის ზედიზედ იმუშავა, ზედმიწევნით შეისწავლა ენა.

ნეაპოლის ახლოს, ავტობუსით ოციოდე წუთის სავალზე მდებარეობს კოპწია დაბა ლაგოპატრია. სადაც მოთავსებულია აგრეთვე განთქმული ოფთალმოლოგიური ცენტრი. განთქმულიო, იმიტომ ვამბობ, რომ იქ მარტო იტალიის ყველა კუთხიდან კი არა, შვეიცარიიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, კვიპროსიდან ჩადიან სამკურნალოდ. ეს ჭეშმარიტად საერთაშორისო ცენტრი გახლავთ.

— როგორია იტალიური სამუშაო კვირეული-მეთქი, ვეკითხები.

— საკუთარ თავზე ვიწვნიე, რა სწორი ყოფილა, სიყმაწვილიდან რომ მესმოდა — კაპიტალისტები მაქსიმალურად უწევენ ექსპლოატაციას ადამიანსო, — ხუმრობს საშა და უკვე სერიოზულად განაგრძობს:

— დასავლური მოდელი მედიცინის სფეროში აბსოლუტურად არ ზღუდავს ექიმის ინდივიდუალურ მოღვაწეობას, ამ მოდელისათვის უცხო და, მაშასადამე, მიუღებელია მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური — ჩვენს პრაქტიკაში ასე ფეხმოკიდებული — მეთოდები. დასავლეთის ოფთალმოლოგიის კარდინალური პარამეტრებია მუშაობის ინტენსიურობა, მკურნალობის სტაბილურად ეფექტიანი შედეგები, ავადმყოფის დაფასება და ატივისცემა — ყველაფერი, რასაც ექიმის მაღალი პროფესიონალიზმი განსაზღვრავს; მხოლოდ მათსავით სისტემატური და ინტენსიური მუშაობით შეიძლება სიძნელეთა დაძლევა და სიმაღლეთა დაპყრობა; სხვანაირად წარმატებებზე ფიქრიც კი ზედმეტია. აქედან გამომდინარე, გასაკეთებელი ოფთალმოლოგიაშიც ბევრი გვაქვს.

...იტალიელი „კაპიტალისტები" ერთობ კმაყოფილი დარჩნენ მივლინებული ქირურგის მაღალპროფესიული მუშაობით და ათწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს.

— ქართული სისხლი მაინც ქართული სისხლია, ამდენ ხანს უცხოეთში რა გამაძლებინებს და უარი ვუთხარიო, — ეღიმება საშას (თუმცა იქვე მიიღელს, რომ იტალია უკვე ენატრება).

იქ მან შეიძინა და თან წამოიღო სადიაგნოსტიკო კაბინეტის უახლესი აპარატურა. ასეთ კაბინეტს სულ მალე გახსნის. ორთაჭალის ოფთალმოლოგიურ ცენტრს საშამ 500 დოლარი გადაურიცხა და 300 დოლარის სამკურნალწამლო საშუალებები გადასცა.

შარშან იგი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის პროფესორად აირჩიეს; ალბათ აქ იქნება შესაფერისი მოვიხსენიოთ ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ზაალ კახიანი და კათედრის გამგე, პროფესორი იევა ბერაძე, რომელთა დახმარება და თანადგომა ახალგაზრდა სპეციალისტისათვის ასე ბევრს ნიშნავდა.

...გულით მინდა, სიამაყის გრძნობამ შეიპყროს ყველა, ვინც საშა ალექსიძეს იცნობს ან ამ წერილით გაიცნობს. სიამაყისა იმიტომ, რომ ქვეყანას, ვისაც ასეთი შვილები ჰყავს (სხვანიც ხომ არიან, თუმცა ალბათ არცთუ ბევრნი), იმედი უნდა ჰქონდეს უკეთესი ხვალისა — როგორც არ უნდა უჭირდეს დღეს...

თამაზ ებანოიძე.

კიდევ ერთი ახალი...

საახალწლოდ კიდევ ერთმა გაზეთმა — „ახალმა ეკონომიკამ" შემოაღო კარი, ფეხბედნიერი ყოფილიყოს შენი მობრძანება ახალი საქართველოს მშენებელ საზოგადოებაში. მით უფრო, რომ გაზეთს, რომლის რედაქტორია ბატონი ოთარ არობელიძე, ორიენტირად დაუსახავს კერძო საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვან ფორმებზე აგებული ეკონომიკის, ამ გზაზე შემდგარი საქართველოს საქმიანი წრეების — ბიზნესმენებისა და ბანკირების, მცირე საწარმოთა, ახალი მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაცვა და ამ მიმართებით ახლის აშენება. ერთი სიტყვით, საქართველოში დიდი ბიზნესის დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

რა გვეთქმის, წარმატებებს გისურვებთ, კოლეგებო!

მოლოცვა იტალიიდან

მთელ ქართველ ერს, რესპუბლიკის პარლამენტსა და მთავრობას, საქართველოში მცხოვრებ ყველა მამულიშვილს, სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლ რაინდებს, იტალიელთა და ქართველთა ერთობის „წმინდა გიორგის ფარი"-ს ყველა წევრის სახელით, გილოცავთ ახალ წელს. ის ტკივილი და სევდა, რაც ჩვენმა ერმა შარშან განიცადა, საქართველოს ისტორიის უკანასკნელი სისხლით ნაწერი ფურცელი უყოფილიყოს.

ვილოცებთ ყველა დაღუპულ მამულიშვილთათვის, ყველა ლტოლვილთა და ობოლთათვის, რათა ახალ წელს ნუგეში და იმედი მიეცეს მათ ახალი, ბედნიერი ცხოვრების დაწყებისათვის.

ქეთევან ბაგრატიონი პრეზიდენტი,
აიმონე მესხი ვიცე-პრეზიდენტი.

რომი, 1993 წლის 1 იანვარი.

ძვირფასი შენატანი

პლატინა — თავდაცვის ფონდში

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს ფრიად ძვირფასი შენატანი შეემატა — 480 გრამი პლატინის ნაკეთობანი, რომელთა საერთო ღირებულება ახლანდელი საბაზრო ფასებით 20 მილიონ მანეთს აღემატება. ამ კეთილშობილი ლითონის ნაკეთობანი ეკუთვნოდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სოხუმის ფილიალს. აფხაზეთში ომის გამო ფილიალის დირექცია უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. იოლად გამდიდრების მოყვარულნი არაერთხელ ეწვივნენ ფილიალის შენობას და თან წაიღეს ყველაფერი, რაც კი ფასეული იყო.

საბედნიეროდ, პლატინის ნაკეთობანი ინახებოდა სეიფში, რომლის გასაღები ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ დაიკარგა.

ფილიალის დირექციამ გაითვალისწინა აფხაზეთში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა და დახმარება სთხოვა კომპეტენტურ ორგანოებს. მით უმეტეს, რომ პლატინის ნაკეთობანი ფილიალის მეცნიერ თანამშრომლებს დიდი ხანია არ გამოუყენებიათ. სოხუმში მივლინებული იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომელი ლევან დოლიძე და თბილისის აეროპორტის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომელი პავლე დარსაველიძე, რომლებმაც უზრუნველყვეს მთლიანად პლატინის ნაკეთობათა მიღება, ჩამოტანა და თავდაცვის ფონდში გადაცემა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში ამ კეთილშობილი ლითონის გადაცემა სოხუმის ფილიალის დირექციისა და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო.

დათო ლევანიშვილი.

მადლობის ბარათი

თანაგრძნობა არსებობას გვიადვილებს

აფხაზეთში მიმდინარე ომმა ლტოლვილებად აქცია ჩემი ოჯახის მცირეწლოვანი შვილიშვილები, ქალები, უსახლკაროდ დარჩენილთ მეგობრული ხელი გაუწოდეს კეთილმა ადამიანებმა.

თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა მინდა გადასცეთ საწარმოო გაერთიანება „კავკასიის" გენერალურ დირექტორს ბატონ ნოდარ გოგავას, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი და თავის საკუთარ სახლში გამოგვიყო საცხოვრებელი ადგილი, ამასთან, გაგვიწია მატერიალური დახმარება. დღეს ყოველდღიურად ყურადღებასა და მზრუნველობას არ გვაკლებს.

ასევე ღრმესი მადლობა მინდა გადასცეთ ამავე გაერთიანების თანამშრომლებს, ბატონ ამირან ადეიშვილსა და მისი ოჯახის ყველა წევრს, რომლებმაც დიდი მხარდაჭერა და დახმარება გაუწიეს ჩემს ოჯახს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის სითბო და თანაგრძნობა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე გრძნობდნენ ჩემი ლტოლვილები აფხაზეთიდან და ოსეთიდან თბილისელებისაგან. თავისსას იკლებენ და ჩვენ ხელს გვიწყობენ.

მადლობა დიდი ყურადღებისა და თანაგრძნობისათვის, რომელიც ჩვენ ნაწილობრივ გვიადვილებს სახლიდან, ნათესავებისა და მეგობრებისგან იძულებით დაშორებას.

პატივისცემით
ოთარ ლალანიძე,
სოხუმის რ აიონის სოფ. გუმისთის მცხოვრები.

დათო კირვალიძე

26 იანვარს 25 წელი შეუსრულდებოდა თავდაცვის სამინისტროს № 1 სასწავლო ცენტრის ტანკის ეკიპაჟის მეთაურს დათო კირვალიძეს. დათო ქ. სამარის მე-5 კურსის სტუდენტი იყო, აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე მოაშურა სამშობლოს და წინა ხაზზე დადგა. 27 დეკემბერს ოჩამჩირის მიმართულებით სოფელ მერკულაში დაიღუპა.

ჩაქრა კიდევ ერთი სიცოცხლე, კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცი შეეწირა ზვარაკად თავის სამშობლოს.

უდათოოდ ჩაიარა ახალმა წელმა, უდათოოდ ვიზეიმებთ გამარჯვებას. მის მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს, თანამებრძოლებს კი მუდამ ემახსოვრებათ უდროოდ დაღუპული ნათელი კაცი, კირვალიძეთა ოჯახის გვარის გამგრძელებელი...

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

ვახტანგ ქინქლაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, დამსახურებული ენერგეტიკოსი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი, ნიჭიერი ხელმძღვანელი და საუკეთესო მოქალაქე — ვახტანგ დანიელის ძე ქინქლაძე.

ვახტანგ ქინქლაძე დაიბადა 1925 წლის 17 დეკემბერს ქ. თბილისში.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მთელი თავისი ცხოვრება პირნათლად ემსახურა ქართული ენერგეტიკის განვითარებისა და ელექტრომომარაგების იმედიანობის მამულიშვილურ საქმეს. სხვადასხვა დროს იყო აჭარის ცენტრალური ჰიდროელექტროსადგურის ლაბორატორიის გამგე, თბილისის თბოელექტროსადგურის ლაბორატორიის უფროსი, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორი, ორი ათეული წელი ხელმძღვანელობდა საქენერგოს ცენტრალურ ელექტროქსელს, იყო თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის პირველი დირექტორი და მისი პირველი ენერგობლოკის ამმოქმედებელი. არაერთი გამოგონებისა და რაციონალიზატორიული წინადადების ავტორი, ყოველთვის უშუალოდ მონაწილეობდა მათ პრაქტიკულ დანერგვაში.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მუშაკი და უზადო პიროვნება, რომლის სახელიც მუდამ დარჩება მის თანამოსაქმეთა და ყველა მათ ხსოვნაში, ვისაც ბედმა არგუნა ბატონ ვახტანგთან ურთიერთობა.

საქმთავარენერგო.

ყურადღება!

ვატყობინებთ ყველა დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გაუქმებულია საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო.

აღნიშნული სამინისტროების მიმართ ყოველგვარი პრეტენზიები საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სალიკვიდაციო კომისიებში მიიღება 1993 წლის 1 თებერვლამდე მისამართით: 380028, მ. კოსტავას ქუჩა № 41; ტელეფონები: 93-26-14; 36-50-59.

განცხადება

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ!

ფაკულტეტის დეკანატი გაცნობებთ, რომ 1992-1993 სასწ. წლის ზამთრის სესიები ჩატარდება შემდეგ ვადებში:

I და II კურსი: 5-22 იანვარი,
III, IV და V კურსი: 14 იანვარი-6 თებერვალი.

დეკანატი.



ასოციაცია „კათარზისმა" დააფუძნა ოთხი ყოველწლიური
საპატიო წოდება:

1. კეთილ კაცთაგან ყველაზე კეთილისა,
(მიეკუთვნება ყველაზე გულუხვ ქველმოქმედსა თუ სასიკეთო საქმის სპონსორს);
2. მოწყალე სამარიტელისა,
(მიეკუთვნება მოყვასისადმი სისტემატიური ან ერთჯერადი არამატერიალური თანადგომისათვის);
3. ჯვართან მორკინალისა,
(მიეკუთვნება მძიმე ხვედრისადმი დაუმორჩილებელ პიროვნებას);
4. წლის ყველაზე კეთილი უცხოელისა,
(მიეკუთვნება უცხოეთის მოქალაქეს საქართველოს ან მისი შვილის მიმართ გამოჩენილი თანადგომისათვის).

წოდებათა მფლობელებს შესაბამისი რეგალიები გადაეცემათ სათნოების სახლში ყოველწლიურად, ქრისტეშობისწინა ძღვენის დღეს.

საპატიო წოდებების მოსაპოვებლად კანდიდატურების წარდგენა შეუძლიათ ორგანიზაციებს, საზოგადოებებს, ცალკე პირებს.

მისამართი: 380064, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 121, სათნოების სახლი, ასოციაცია „კათარზისი".

უფროსებში — „მართვე", ჭაბუკებში — თბილისელები

„მართვეს" წარმომადგენლები ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ველოკროსში რესპუბლიკური პირველობის შემდეგ, რომელშიც ასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირს თბილისი მასპინძლობდა.

5-კილომეტრიან დისტანციაზე ოქროსა და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტები — ვანელი ზვიად ლორთქიფანიძე და ქუთაისელი დავით შავგულიძე. მესამე ადგილი დაიკავა კიდევ ერთმა ვანელმა — რამაზ ხურციძემ.

პარალელურად გამოვლინდნენ 1977-1978 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ჩემპიონატის პრიზიორები. მათი კროსის დისტანცია შეადგენდა 3 კილომეტრს.

პირველი და მეორე ადგილები წილად ხვდათ თბილისელ დინამოელებს — გიორგი ქარუმიძესა და გიორგი ფრუიძეს, „ბრინჯაო" მათ თანაქალაქელ — გიორგი ქარელიძეს („შევარდენი").

გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

5 იანვარი ქართული ჩოგბურთის ვარსკვლავის — ლეილა მესხის დაბადების დღეა — 25 წელი შეუსრულდა.

სამშობლოში ხანმოკლე „ვიზიტის" შემდეგ იუბილარი დღეს კვლავ შორეულ ტურნეში, ამჯერად ავსტრალიაში მიემგზავრება, სადაც „დიდი მუზარადის" ტურნირში ჩაებმება.

დაბადების დღეს გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ, ლეილა!

სურათზე: ლეილა მესხი.

ჩოგორი

ბუნება მბრძანებელია...

ბუდაურში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში „სეზონის გახსნის პრიზზე". უამინდობის გამო, ჯილდოები მხოლოდ სპეციალურ სლალომში გათამაშდა.

პირველ დღის წარმატება დედაქალაქელებმა — სოფო ბაზღაძემ („მართვე") და ლევან აბრამიშვილმა („შევარდენი") მოიპოვეს.

ასპარეზობის მეორე დღის საუკეთესონი იყვნენ თბილისელი ნინო რუხაძე („მართვე") და ბაკურიანელი დინამოელი ზურაბ ჯიჯიშვილი.

უამინდობამ კორექტივები შეიტანა აგრეთვე, რესპუბლიკური ტურნირის — „საშობაო არდადეგების პრიზის" პროგრამაშიც. ამის გამო, მედლები კვლავ ერთეულთა დისციპლინაში — გიგანტურ სლალომში — განაწილდა.

ვაჟთა შორის ისევ ბაკურიანელმა ზურაბ ჯიჯიშვილმა იმარჯვა, ქალთა დავა მოიგო თბილისელმა ანი ბუაძემ („მართვე").

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 8 დეკემბრის №1091 დადგენილებით მიიღო საქმრეწვმშენბანკის წინადადება, რომ საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებულ სახელმწიფო კომერციულ სამრეწველო სამშენებლო ბანკს — „საქმრეწვმშენბანკს" ეწოდოს საქართველოს სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ინდუსტრიული ბანკი — „ინდუსტრიაბანკი".

ინდუსტრიაბანკი კარგად ასახავს მსოფლიოს ქვეყნების მიერ ჩვენი სახელმწიფოებრიობის ცნობის კვალობაზე საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრიის — საწარმო-დაწესებულებების, გაერთიანებების, ასოციაციების, კოოპერატივების, ერთობლივი საწარმოებისა და ფირმების საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების ახალ შინაარსს, რომელიც სულ უფრო ინტენსიური ხდება.

ინდუსტრიაბანკი თქვენს სამსახურშია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

შეკვეთა 6434